



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

DECEMBRE

1934—№ 108

დამკვეთი

1934 წ.

№ 108

# დავით აღმაშენებლის

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ერთი კამპანიის გამო.  
 კლმანდო—კიროვის მკვლელობა.  
 დაბნობისელი—საბუ. მწერობის ყრილობის გამო.  
 მ. უ.—ჩვენი ეკონ. პერსპ. და კონფედერ. პაქტი.  
 კ. კაკაბაძე—კომუნისტები საქართველოში.  
 ხ. ფ.—გრა. რცხილაძე.

ი. სალაყაია—წყნარ ოკეანეს პრობლემა.  
 ნაურო—წერილი ამერიკიდან.  
 სომხური პრესა.  
 გერმანულ პრესიდან.  
 გ. ტღვინიძე—ქართული გუნდი მონბელიარში.  
 «დამ. საქართვე.» 1934 წ. სარჩევი. და სხვ.

## ე რ თ ი კ ა მ პ ა ნ ი ს ბ ა მ ო.

ივლისში ხელმოწერილმა კავკასიის კონფედერაციის პაქტმა საქმათ ძლიერი გამოძახილი ჰპოვა ემიგრანტულ პრესაში. ჩვენ არ ვეცხებით ერთ ფრონტში მდგომ სამი ერის პრესას, რომლის დამოკიდებულება პაქტისადმი დადებითია. მეოთხე ერის, სომხის პრესაზე ამ დროებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის იგიწყებს მათი დელეგაციის ნამოქმედარს 1921-დან 1924 წლამდე, მის მიერ ხელმოწერილ დეკლარაციებს, სადაც მკაფიოთ იყა აღიარებული კავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური მთლიანობა, ოთხივე რესპუბლიკის საბაჟო, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის გაერთიანების აუცილებელი საჭიროება, და, თუ მთელი 1925 წლის თათბირებზედ დელეგაციამ არ მოისურვა თავის სახელის დარქმევა ამ რიგათ დაკავშირებულ კავკასიისათვის, ეს ქეშმარიტათ არაა სხვა სამი ერის წარმომადგენელთა ბრალი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით სომხის ერმა, რომელიც მუზობელ ერებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ებრძვის საოკუპაციო ხელისუფლებას, ერთგვარი დეზაუჟაცია გაუკეთა არა პირდაპირ თავის დელეგაციის პოზიციას კონფედერაციის საკითხში.

რაც შეეხება ფრონტიდან გამდგარ ქართულ თუ არა-ქართულ პრესას, მას ჯერ კიდევ მილიტუკოვის და დანის ორგანოებმა დაასწრო პაქტის ძაგებაში, ასე რომ ორიგინალობას ვერ დავწამებთ ამ მხრივ. ორიგინალობა შეიძლება იმაში გამოიხატება, რომ

ამ პრესის სულის ჩამდგმელნი შემოკრბენ რუსულ ორგანოს «კავკახ»-ის ირგვლივ და საერთო ძალით ეწევიან კავკასიელთა შინაურ საქმეების დამახინჯებულათ გამოფენას მოსკოვის იმპერიალისტთა და მათი თანამომეტა საყურადღებოთ უცხოეთში. ამ სახის კამპანიასთან ჩვენ მართლა არ გვქონია აქამდის საქმე. კავკასიელნი, განურჩევლათ ტენდენციებისა, იმდენათ მომწიფებულნი მიგვაჩნდა პოლიტიკურათ, რომ ვერ წარმოგვედგინა თუ გინდ ზოგიერთ მათგანის მხგავსი აბრუნდი. იბადება კითხვა, რატომ არ სარგებლობს რუსების პრესა ამ ხელიხელ საგომანებელ მასალას, რატომ სდუმს? იქნება იმიტომ, რომ მისი ჩარევა გონს მოიყვანდა გამდგარ კავკასიელთ და ისინი დაუბრუნდებოდენ ერთად ერთ შესაძლებელ ტაქტიკას—შინაურ საქმეების გარეშეთა ჩაურეველათ მოგვარებას!

ხუმრობა იქით იყოს, «კავკახ»-მა შექმნა ერთგვარი ფრონტი კავკასიელთა, მაგრამ ვის წინამდევ? ისევ კავკასიელთა წინამდევ! ეტყობა, ჩვენი ერები იქ სამშობლოში ბედნიერნი ყოფილან, მათ არც სხვა მტერი ყავთ, აბა დააკვირდით ამ რუსულ ორგანოს, თქვენ მას იქ ვერ იპოვით, გაგიჭირდებათ, ყოველ შემთხვევაში. ეს არ არის, უეჭველათ, სადი მოვლენა, ემიგრაციის ერთი ნაწილი ძალზე დაზადებულა, მოწყვეტილი სამშობლოს, სასოწარკვეთილი, პირადულ ამბიციებით შეპყრობილი, ის კარგავს პოლიტიკურ ყნოსვას, ვერ არჩევს მტერს მოყვრისგან და

იქნეს ხმაღს, სულ ერთია მისთვის, ვის მოხვდება.

მაგრამ ერთს მაინც არ მოველოდით. მიუხედავად ამ უდროობისა, ერთი წესი მაინც სუფევდა კავკასიელთა შორის, მას ვერაინ გადალახავდა, თავშიც არ მოუვიდოდა. რა იყო ეს წესი? ერთი ერის შვილი ნებას არ აძლევდა თავის თავს მეორე ერის შინაური საქმეები საჯირითთ გაეხადა, ისიც საერთო მტრის გასაგონათ, და მით ერთგვარი უკმაყოფილება დაეხადა ორ ძმა-ერს შორის. ყველამ იცის, მაგალითად, როგორია ქართველთა დამოუკიდებულება მთელთა მიმართ, მთელთა—ქართველთა მიმართ, ამას არ დაერქმევა უბრალო მეგობრობა, მეზობლური კეთილგანწყობილება, არა, ეგ მეტია, გაცილებით მეტი... და რას ვხედავთ? «კავკაზ»-ის რედაქტორი, კარგათ ცნობილი მთიელი, ნიშანში იღებს, პირველ ნომრიდან, საქართველოს მართველ წრეებს ამ ახლო წარსულში, აფენს მათ საქმეებს მრუდე სარკეში, კიცხავს დაუჯერებელის გამბედაობით და თვე მუდამ სისტემატურათ ეწევა ამ «სასიქადულო» კამპანიას. ვსთქვით, ქართველ ერს ძალიან ცუდი მთავრობა ჰყოლია. მაგრამ ვინ დანიშნა ბ. რედაქტორი მსაჯულად, რომელ წყაროდან იღებს ის უფლებას საქართველოს ასეთი დაუზოგველი განჩინება გამოუტანოს? ან იქნება ფიქრობს ის, რომ მთავრობა არ გამოსულა ქართველ ერის წიადიდან, რომელსამე გარეშე ძალას დაეყენებოს მის სათავეში?

ჩვენ არ გვგონია, რომ ზოგიერთ უკმაყოფილო ქართველის თანამშრომლობა ერთი იოტითაც ამჩატებდეს «კავკაზ»-ის რედაქტორის სრულიად დაუშვებელ საქციელს. მით უფრო, ეს ქართველები, როცა თავისუფალ საქართველოში ბრძანდებოდნენ, ორი მათგანი პარლამენტშიც იხსდნენ, სულ სხვა პანგებზე მღეროდნენ, საგარეო საქმეებში მხოლოდ იწონებდნენ სხვებთან ერთათ მთავრობის პოლიტიკას, და საშინაო საქმეებშიც მათი შეურიგებლობა არავის სმენია. მართალია, თავისუფლების შემდეგ 14 წელი გადის, მტერმა ბევრი უბედურება დაატეხა თავს ჩვენს ხალხს, ბევრი რამ მიანგრ-მოანგრია,—იქნება აქედან ის დასკვნა გამოაქვთ გამდგართ, რომ მათი დღე დამდგარა, რომ ერთმა აართვა თავის კანონიერ წარმომადგენელთ მანდატი და მათ გადასცა! ჩვენ არ გვსურს მკითხველის მხიარულ გუნებაზე დაყენება...

მდგომარეობა უფრო სერიოზულია. «კავკაზ»-ი ებრძვის პაქტს—ამით დავიწყეთ—არ იკითხავთ რად? პაქტი საქვეყნოთ აღიარებს კონფედერაციას კავკასიის 4 რესპუბლიკის მომავალ კავშირის ფორმად, იქნება ეს არის მის ხელისმომწერთა დანაშაული? სრულიად არა. «კავკაზ»-ის რედაქტორი ბრძანებს,

ეს იდეა ჩემი და ჩემი თანამემამულეთა არის. ვსთქვით, ეს ასეა, მარტო გეოგრაფიული მდგომარეობა, უეჭველათ, უფრო მწვავეთ აგონებს მთიელთ კონფედერაციის აუცილებლობას.—მერე რაა აქ საწყენი? განა მით უფრო არ უნდა გახარებოდა ბ. რედაქტორს, რომ მისი იდეა შეუთვისებიათ ბოლოს და ბოლოს ამ «ბეც» ამიერ კავკასიელთ? ხომ არ მოთხოვდა ის მათ, რომ ოფიციალურ დოკუმენტში მისი სახელი ენსენებიათ? ამბიციასაც თავისი სახელგარი აქვს.

ჩვენ სიამოვნებით ვუდასტურებთ ბ. რედაქტორს, რომ ის მოითხოვდა ტფილისში კიდევ 1918 წლის დასაწყისში კონფედერაციას, მან ეს კითხვა აღძრა აპრილშიც, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების უმალ, ტრაპეზონდშიც გადასცა ოტომანთა დელეგაციას ნოტა კონფედერაციის საჭიროებაზე, მაგრამ არ იკითხავთ რა დრო იყო ეს? ეს იყო დრო, როცა ჩრდილო კავკასიის წითელი ჯარები შემოესიენ, როცა ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო. რად იყო თვითონ ბ. რედაქტორი ტფილისში, ნებაყოფლობითი თუ იძულებითი იყო მისი იქ ყოფნა? როგორ და სად გამოაცხადეს მან და მისმა მეგობრებმა იანვარში ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობა? ეჭვ, მწარეა ამეების მოგონება, კალამი არ გვერჩის, რომ ამისათვის საყვედურით მიგმართოთ ჩვენს განმკილველს, პირიქით, მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, მაგრამ ნუ თუ ძნელია მისთვის გაგება, რომ იმ საშინელ პირობებში ამიერ-კავკასიის არავითარი საშუალება არ ჰქონდა გაენადლებინა მისი თეორიული წარდგენანი?

მაგრამ ბ. რედაქტორი უფრო შორსაც მიდის. საქართველოს მთავრობას, მართველ პარტიას, რომელნიც მეთაურობდნენ ამიერ-კავკასიის—ამბობს ის—კონფედერაციის არაფერი სწამდათ, ებრძოდნენ და ებრძვიან მას და, დახეთ, ესლა პაქტს აწერენ ხელსო! მოწიწებით გავახსენებთ ბ. რედაქტორს, როცა ის ნოტას სწერდა ტრაპეზონდში, იქვე იყო ამიერ-კავკასიის დელეგაცია, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ქართველებს პირველათ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაზე უფიქრობათ, შეუქმნიათ მისთვის ჯერ კომისარიატი, მერემე სეიმი და 22 აპრილს 1918 წ. ფედერაციაც კი გამოუცხადებიათ. რა იყო პირველი ნაბიჯი ამიერ-კავკასიის მთავრობისა მეორე დღეს? ფედერაციის საკონსტიტუციო კომისიის შექმნა და მასში ჩრდილო-კავკასიის წარმომადგენელის მოწვევა. მაგრამ კომისიას მუშაობა არ დასცალდა, მთავრობის თავმჯდომარე ბათუმს გაემგზავრა დელეგაციის სათა-



ვეში და 5 მაისს, სამშვიდობო კონფერენციის პირველ სხდომაზედ, ოსმალეთის წინადადებით, ხოლო ამიერ-კავკასიის დელეგაციის წინასწარი თანხმობით, მთის დელეგაცია კონფერენციაზედ დაშვებულ იქნა. განა ცხადი არაა აქედან, რომ ქართველ მართველებს ნოტები არ უწერიათ, მართალია, მაგრამ საქმით განუხორციელებიათ, თუ არა მთელი კავკასიის, ამიერ-კავკასიის მთლიანობა და, თუ მთაც არ შეუყვანიათ ამ საერთო ოჯახში, უცდიათ მაინც, საუბედუროთ, მხოლოდ ქალაღდზედ და დიპლომატიურათ!

ჩვენ არ შევუდგებით იმის აწერას, რა ძალებმა დაშალა ამიერ-კავკასიის ფედერაცია—ეს აღბეჭდილია მოკლეთ სემის უკანასკნელ რეზოლუციაში, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ უკანასკნელს წინ უძლოდა თვითეულ ერის საბჭოს განცხადება, და მათ შორის საქართველოს ეროვნულ საბჭოსი, წაკითხული მის თავმჯდომარის მიერ, სადაც კავკასიის კონფედერაცია საქართველოს მახლობელ მიზნად იყო აღიარებული.

კარგი, მოხდა საერთო უბედურება, ოთხივე რესპუბლიკა მტერმა შთანთქა ცალ-ცალკე, ერთათ რომ ყოფილიყვენ, ასე ადვილათ ვერ გახდებოდენ მისი ლუკმა—ეს საანბანოა, ჩვენ არ შევუდგებით ბრალიანის და არა ბრალიანის ძებნას, ქართველებს ყველაზე ნაკლებ ეშინიათ ისტორიის განაჩენის... საქართველოს წარმომადგენელნი მეზობელთა წარმომადგენლებთან ერთათ ხელს აწერენ საკავშირო დეკლარაციებს ივნისს 1921 წ., სექტემბერს 1924 წ., კონფედერაციის ოქმს ნოემბერს 1924 წ. ამ უკანასკნელზედ ხელი არ უწერიათ სომხებს და სწორეთ ამიტომ ოქმი არ გამოქვეყნებულა. მაგრამ დადგა 1934 წ., საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვების კითხვა დაისვა ქენევაში და ამიტომ საქართველოს, აზერბაიჯანის და მთის საერთო ფრონტმა კონფედერაციის პაქტი გადასცა მთავრობებს და შემდეგ გამოაქვეყნა ქენევაში.

რას ნიშნავს ყველა ეს ფაქტები, თუ არა იმას, რომ ქართველები და მათი მართველი წრეები დაუღალავათ, მეთოდურათ იცავენ კონფედერაციის იდეას? არა თუ იცავენ, ისინი იბრძვიან მისთვის სამშობლოშიც და იქიდან გამოძახილიც აქეთ: საქართველოდან პირდაპირ იქნა მოთხოვნილი კონფედერაციის კონსტიტუციის პროექტის შედგენა, რაიცა ეროვნულმა ცენტრმა პირნათლათ შეასრულა. ამ მუშაობის ნაყოფი იყო სწორეთ ივლისის პაქტი.

დარჩა ერთი მუხლი, რომელიც მეზობლებს ეხება და, მაშასადამე, ჩვენ არ მივცემთ ჩვენს თავს ნე-

ბას მათ შინაურ დავაში ჩავერიოთ. «კავკაზ»-ის ფურცლები აჭრელებულია საპროტესტო წერილებით იმათ წინამდევ, ვინც აზერბაიჯანის და მთის სახელით მოაწერა ხელი კონფედერაციის პაქტს. აღნიშნავთ მხოლოდ ორ გარემოებას.

ხსენებული საპროტესტო წერილები თავის არაჩვეულებრივი ვნებათა ღელვით არც კავკასიის მთლიანობის პიონერს ალი-მარდან-ბეგ თოფჩიბაშს ინდობს და მის ხელს პაქტზედ უკანონოდ აცხადებს! როცა აქამდე მიღის დავა, მაშინ უსარგებლოა საგანეთო პასუხი, საჭიროა ექიმის ჩარევა. მართლაც შემადრწუნებელია და სავალალო ასეთ დამსახურებულ პიროვნების, რომლის ნაშთი ესაა საფლავში ჩავსვენეთ, ეგზომი უპატივცემულობა. მართალია, ალი-მარდან-ბეგი ავათ იყო, მაგრამ ის ლოგინად არ იწვა, როცა პაქტს ხელი მოაწერა. ის აღელდა, იცით რატომ? იმიტომ, რომ უზომოთ გაეხარდა მისი ამდენი ხნის წადილის დეკლარატიულათ მაინც შესრულება. განა მეპროტესტეთ არ იციან, რომ 1924 წ. ნოემბრის ოქმის პროექტის ავტორი თვითონ განსვენებული იყო? განა მათ არ იციან, რომ ოქმის გამოქვეყნების გადადების წინადადება, სანამ სომხებიც არ მოაწერდენ, მან შეიტანა? ისინი, ვინც პარიზში ბრძანდებიან, არ ნახულობდენ ავთიმყოფს, თორემ მეტსაც გაიგებდენ: ალი მარდან ბეგი, პაქტზედ ხელის მოწერის შემდეგ, თითქმის განიკურნა, სანკლუსს ქუჩებზედ არა ერთხელ უნახავთ მოსეირნე, და მისი უეცრათ გარდაცვლა მოულოდნელათ მოხდა.

ალი-მარდან-ბეგს არ დაუმალავს თავისი ღრმა მწუხარებაც, რომ სომხებს არ ეწერათ ხელი პაქტზედ, რომ მისი თანამემამულენი და განსაკუთრებით მთიელები ყველანი, უკლებლივ არ სჩანდენ ამ დოკუმენტზედ—ამის თქმას გვავალებს მისი სახელის ხსოვნა. და სწორეთ ამასთანაა დაკავშირებული მეორე გარემოება. «კავკაზ»-ის რედაქტორი ვერ ურიგდება, რომ პაქტის შედგენაში მას არ მიუღია მონაწილეობა, მეტე ვისი ბრალია ეს? განა დაივიწყა, რომ მან თვითონ, თავისი პასუხისმგებლობით გასწყვიტა, ავერ რამდენიმე წელია, ყოველივე კავშირი საქართველოს წარმომადგენლობასთან? მან ხომ თავის ორგანოშიც მოათავსა საკუთარი ოფიციალური წერილი საქართველოს ელჩისადმი ამის შესახებ. შეიძლება ამის გახსენება არაა მისთვის სასიამოვნო, რადგან საერთაშორისო წესის ასეთი ამკარა დარღვევა, როგორიცაა ადრესატის დაუკითხავათ წერილის გამოქვეყნება, არ მოწმობს მის გამჭირიანობას.

ჩვენ გავათავეთ, თუმცა ვერ ვიტყვიტ, რომ თემა ამოვწურეთ. რაცა ვსთქვიტ, ისიც იძულებით, თო-

რემ ჩვენნი ორგანო არაა სრულიად საპოლემიკო, არ იწერება ემიგრაციისათვის, არამედ ქართველ მკითხველისთვის იქ, სამშობლოში. რას გვავალებს მებრძოლი ქართველი ვერი, ყველამ კარგათ იცის: თანხმობას, ძმურ თანამშრომლობას ყველა პატრიოტულად განწყობილ ქართველებსა უცხოეთში, განურჩევლად ტენდენციებისა. ასეთივე ურთიერთობა უნდა სუფევდეს მეზობლებსა და თვითეულ რესპუბლიკის ემიგრანტთა შორისაც. ჩვენ უზომოდ მწუხარებას გამოვთქვამთ, როცა სრულიად წინამდებ სურათს ვხედავთ.

მოვუწოდებთ ქართველებს, ისე როგორც მეზობლებს ამ ძმური ურთიერთობისაკენ, ერთმანეთის გატანისაკენ, მტერი ერთია, მამასადამე, ჩვენც ერთნი უნდა ვიყოთ. ჩვენ გვწამს, რომ პაქტზედ ხელისმომწერნი, მათი ორგანიზაციები და კავკასიის საერთო ორგანო სათანადო დასკვნებს გააკეთებენ შექმნილ საშიშო მდგომარეობისაგან და მიიღებენ ყოველ ზომას კავკასიის მთელი ემიგრაციის ერთი მიზნისკენ წარსამართავათ, პასუხისმგებელ მოღვაწეთა ერთ ორგანოში მოსაქცევათ.

**კიროვის მკვლელობა**

ნიკოლაევის მიერ გასროლილ ტყვიამ საბჭოთა ოლიმპი შეაშფოთა და პანიკაში ჩააგდო; ამ პანიკის შედეგია ის განუხჯელი და აღვირახსნილი რეპრესიები, რომელმაც მთელ რუსეთზე გრივალეით გადაიარა. მაგრამ სანამ კიროვის მოკვლის პოლიტიკურ შედეგებს შევეხებოდეთ, საჭიროა მოკლედ გავიხსენოთ ამ აქტის წინამორბედი მოვლენები და ზოგიერთი ეპიზოდები.

ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უდიდეს მოვლენას ქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში. რომელმაც ძირიანად აღმოეხვრა «ერთ სახელმწიფოში სოციალიზმის» ილუზიები და კავშირის საგარეო «რევოლუციონური» პოლიტიკა ბურჟუაზულ სახელმწიფოებთან მორიგების ჩიხში მოამწყვდია. ეს ძირითადი ფაქტორი იყო პირველი ხუთწლედის სრული გაკოტრება და მეორე ხუთწლედის პირველი ნახევრის კატასტროფიული მსვლელობა. ამ ნიადაგზე გაიზარდა და ჩამოყალიბდა უკმაყოფილება არა მარტო კავშირის უბრალო მომაკვლავთა შორის, არამედ თვით გაბატონებულ წოდებაში—კომუნისტურ პარტიაში. მუდმივი ამბოხებები გლეხობაში, მღელვარება წითელ ჯარში და სასოწარკვეთილება მუშათა კლასში—აი ის მთავარი მიზეზები, რომლებიც დაყინებით უკარნახებდენ კრემლის ავაზაკებს გამოსავალი გზები ეძებნათ. ამ ძებნაში რუსეთის ფაქტიური მთავრობა—პოლიტიკური—ორად გაიყო: ერთნი, მომხრენი იყვნენ დრაკონული ზომებით ურჩთა დამორჩილების და ამ

გზით უტოპიურ მიზნების განადგობის; ხოლო მეორე ნაწილი კი ძველი პოლიტიკის გაგრძელებაში ხედავდა არა მარტო მიზნების დამსხვრევას, არამედ თვით რეჟიმის საფრთხეში ჩაგდებას. ამიტომ მათ წამოაყენეს დიქტატურის ნორმალურ ლიანდაგზე გადაყვანა შიგნით—რეფორმებით და გარეთ—ბურჟუაზიულ სახელმწიფოებთან დაკავშირებით.

ამ კოორდინალურ საკითხში 9 კაციანი პოლიტიკური ორად გაიყო. ოთხი კოგანოვიჩის მეთაურობით არსებულის გაგრძელებას მოითხოვდა, ხოლო მეორე ოთხი—პოლიტიკის შეცვლას და კულშეკვეცილი რეფორმებით ფართე მასების გულის მოგებას გადაარჩენის მთავარ პირობათ აყენებდა. ამ უკანასკნელის ღირსეული მეთაური იყო კიროვი, რომელიც დიქტატურის «ამომავალ ვარსკვლავად» ითვლებოდა და თავისი ორგანიზატორული ნიჭით სტალინის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა. ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის პირველად კომპარტიის უკანასკნელ ყრილობაზე გამოვარდა და ის პოლიტიკურად მთავარ საზრუნავ საგნად გადაიქცა. სტალინი, როგორც ყოველთვის, ამ დავაში («ხიურ დიპლომატიას») ეწეოდა და ამჟამად არც ერთ ბანაკს არ ემხრობოდა. როგორც უცხოეთის სააგენტოები იუწყებოდნენ, სტალინი კიროვის ჯგუფს პოლიტიკურად მხოლოდ უკანასკნელად მიემხრო. ამის შედეგებმაც არ დააყოვნეს და ჩვენ მივიღეთ სრულიად ახალი ლოზუნგები და ნაბიჯები, რაიც ძირიანად ეწინააღმდეგებინ კომუნისტების 16 წლის პრაქტიკას და სიტყვას.

რა იყო ეს ახალი ლოზუნგები და ახალი პოლიტიკა?

ყოვლის უპირველესად, «სამშობლო» და «სამშობლოს დაცვა»—არაღვალურ და დევნილ მდგომარეობიდან გახდა ხელისუფლების ოფიციალ ლოზუნგათ. ამას მოყვა გეგუნუს ფორმალურად გაუქმება, მისი უფლებების შეკვეცა და შინაგან საქმეთა კომისარიატისადმი დამორჩილება. ის ამ დღიდან გადაიქცა ხელქვეით ორგანოდ, რასაც ბატონობას შეჩვეული აპარატი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. ცნობილია, იმავე კიროვის უმრავლესობამ გააუქმა ბარათების სისტემა, აუშვა კერძო ვაჭრობა სასოფლო ნაწარმოებზე და ამით მოინდომა საშინელი კრიზისის და უკმაყოფილების შეწელება. ყველაფერი ეს იყო შინაგანი პოლიტიკის საგანი. მაგრამ, ცხადია, ამას ლოლიკურად უნდა მოყოლოდა საგარეო ფონტზე სათანადო გადაჯგუფებანი. სწორედ ამ დღიდან «ავაზაკთა» და «სისხლისმსმელთა» ერთა ლიგა პოლიტიკურად უმრავლესობისათვის გადაიქცა უწმინდეს და სათნოების ორგანოდ. და რაც მთავარია «მსოფლიო რევოლუციის» მგლები ცხვრის ქურქში გაეხვიენ და ლიტვინოვის პირით სამართლიანობაზე, ზავზე და კაცთა შორის სათნოებაზე დაიწყეს ლაღადისი.

ამრიგად კიროვის მკვლელობას წინ უძღოდდა მართველი წრის ორ მოპირდაპირე და შეუთრეგებელ ბანაკად გაყოფა. ბრძოლა მათ შორის დიქტატურის სავალ გზებზე გაიმართა. კიროვი და კამპანია, როგორც დავინახეთ, შეეცადა დიქტატურის მოთვინი-

ერებას მის ნორმალურ რეჟიმთა გადაქცევას. ეს იყო ისტორიულად განწირული და უტოპიური ცდა. ცნობილია, რომ ყველა დროის და ხალხების დიქტატურა თავისი ნებით არასოდეს გადაქცეულა ნორმალურ წყობილებათ. პირ იქით, თუ რომელიმე დიქტატორი შეცდილა ასეთი გზით რიგიან საზოგადოებაში შესვლას—მისთვის ან კისერი მოუტეხიათ, ან და, უკეთეს შემთხვევაში, იძულებული გამხდარა ისევ ძველ გზას დაბრუნებოდა. ამ მხრივ ნიკოლაევის გასროლილი ტყვია ისტორიის უბრალო აღმოსავლეთი, რომელიც საბჭოთა სინამდვილეში ახალ და მოულოდნელ პერსპექტივებს ხსნის.

ვინ იყო ნიკოლაევი? თუ განეთებს დაუჯერებთ, ის იყო დიქტატურის პარტიის თვალსაჩინო წევრი, კიდევ მეტი—ყოფილი ჩეკისტი კიროვის დამცველათ მიჩენილი. ამას ადასტურებს მკვლევლების ვარაუდობაც და ოფიციალ წრეების დუმილი მკვლელობის ნამდვილ მოტივებზე. ცხადია, ხელისუფლებამ კარგად იცის სად იმყოფებოდა ნიკოლაევი, ვის საქმეს აკეთებს, მან იცის, რომ ეს უშურისძიებია არა «ლასობრივი» მტერის. არა «კონტრ-რევოლუციის», არამედ ამხანაგის ამხანაგისადმი, დიქტატურის ერთი ფრთის მეორე ფრთისადმი და უშურისძიებია არა პირადულზე, არა წარმავალ ანგარიშებზე, არამედ ძირითადზე, არსებითზე, რომელიც სწვევს დიქტატურის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ჩვენთვის მთავარია, რომ საბჭოთა კავშირში ბრძოლაში ებმებიან ახალი ძალები და ეს ძალები მოდიან თვით გაბატონებულ წრეებიდან. «სოც. ვესტნიკის» ცნობა, რომ მართველ წრეებში დიდი ინტრიგებია და მეორეს მხრივ «პრავდას» მიერ ნიკოლაევის საქმეზე ზინოვიევის ოპოზიციის მიკვრება და ვარშავის სააგენტოს უკანასკნელი ცნობა—ზინოვიევა-კამენევის დატუსაღების შესახებ—ამ ჩვენს გიპოტეზას სავერთადასტურებს.

ამრიგად, კიროვი მოჰკლა არა «კონტრ-რევოლუციამ», არა «უცხოეთიდან მოსულმა აგენტებმა», არამედ კომპარტიის ერთმა ნაწილმა.

ბრძოლა რევოლუციონისა და კონსერვატიონის შორის, ბრძოლა კიროვის და კოვანოვიჩის ჯგუფთა შორის დამთავრდა ნიკოლაევის ტყვით. ამ ბრძოლაში კოვანოვიჩთან ერთად გამარჯვა ჩეკამ და მისმა აპარატმა. მან კვლავ დაიბრუნა დეკარტული პოზიციები და დღეს კვლავინდებურად თარეშობს სიკვდილის ცელით კავშირის განაწამებ ხალხებზე. ნიკოლაევის ქესტი და კიროვის სიკვდილი მრისხანე ზარია მთავარ დიქტატორის—სტალინის გასაფრთხილებლად ჩამოკრული. ამ აქტით გაუბედავი ცდა დიქტატურის მოთვინიერებისა კიროვთან ერთად დაიმარხა. ნიკოლაევიმ ორ დეკემბერს ამცნო კაცობრიობას, რომ დიქტატურა თავისით არ დასთმობს თავის ბატონობას.

იარაღით მოთარეშენი იარაღით უნდა დაეცენ. სხვა გზა ამათთვის ისტორიას არ მოუცია.

კომანდო.

**საზოგადოების მშვიდობა და პრილოვის გამო**

ამა წლის 17 აგვისტოს მოსკოვს გაიხსნა მხატვრულ მწერლობის ყრილობა.

«ზარია ვასტოკა»-მ ამ ყრილობის გახსნას უძღვნა თავისი მოწინავე.

«სოციალიზმის ქვეყნიურ-ისტორიულ გამარჯვებათა ნიადაგზე, პარტიის გენერალურ ხაზის გამარჯვებაზე ჩვენში გაიზარდა უშველებელი საბჭოური ლიტერატურა», ამბობს გაზეთი.

«მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, განაგრძობს მეთაურის დამწერი, რომ საბჭოური ლიტერატურის ღირსების ზრდა ჯერ მაინც ჩამორჩენილია იმ ვებერთელა მოთხოვნებებს, რომელსაც უყენებს სოციალისტური სინამდვილე.»

«მწერალთა ყრილობა ანალიზს გაუკეთებს დაგროვილ გამოცდილებას და იმსჯელებს იმის შესახებ, თუ როგორის გზით უნდა იარაღს მწერლობამ აწი, რათა განსახიერება პოეზიის მასში ჩვენმა დიდებულმა გმირულმა დრომ, ბრძოლის წარმოცემა სიმკვეთრემ და საზოგადოებრივი ურთიერთობის აქამდის უნახავ გადაკეთების პათოსმა.»

გვაგონდება მწერალთა ერთი სხვა ყრილობა იმავე მოსკოვს. ოცდაათის წლის, იქნებ მეტის, ამბავია. არც მაშინ იყო ბევრად უკეთესი პირობები თავისუფალ, და მერე ისეთის ხელობის წარმომადგენელთათვის, როგორიცაა მწერლობა, საჯაროდ თავის აზრების და რწმენის გადასაშლელად.

ერთერთი კარდინალური საკითხი, რომელმაც დიდი და ცხარე აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია იმ ყრილობაზე, იყო: რამე წინ წამდღვარებულ იდეას უნდა ემსახურებოდეს მხატვრული სიტყვა, ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს უნდა არკვევდეს და განმარტავდეს, ერთის სიტყვით, საზოგადოებრივ ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს და ხელმძღვანელობდეს, თუ მისი დანიშნულებაა განყენებული მშვენიერება, თვით ხელოვნება, ანუ, როგორც იტყვიან, ხელოვნება ხელოვნებისათვის უნდა არსებობდეს?

დიდის კამათის შემდეგ დიდის უმრავლესობით გამოიტანეს ასეთი რეზოლიუცია: მხატვრული სიტყვა ვერ აიღებს ხელს საზოგადოებისა და მის ცხოვრების სამსახურზე; მისი დანიშნულებაა ადამიანის სულისა და გულის ამალევა, სიკეთის თესვა. ოღონდ ამ დანიშნულებამ არ უნდა შეებრკოს შემოქმედება, მხატვრობა და ხელოვნება არ უნდა უმსხვერპლს ქადაგებასა და დარიგებას. მხატვარი თავისუფალი უნდა იყოს ტენდენციისაგან და თავის გონებისა და სულის აღმფრენას უნდა მორჩილებდეს. ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებებში თვისთავად, ბუნებრივად, სწორად თვით მწერლისათვის მოულოდნელად უნდა გამოამდინარეობდეს გამოსადეგი აზრები და დასკვნანი.

ამრიგად იმ უკუღმართ დროსაც კი მწერალი იმდენად თავისუფალი იყო, რომ შეეძლო ხმამაღლა აღეარებინა, აზარად დაგიდევთ პოლიტიკურ სოციალურ და სხვა საკითხებს, მე წმინდა ხელობას ვემსახურები, მუშებს ვემუხაიფებო.



სწორედ ეს იყო ხელსაყრელი იმ დროინდელ ხელისუფლებისათვის, სთქვას იქნება ვინმემ,—ოღონდ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე ნუ სწერს მწერალი და, გინდ მუხუზებს ემუხაიფოს და წმინდა ხელოვნებას ემსახუროს და გინდ ეშმაკებ-საო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მაშინდელ მწერ-ლობის დიდი უმრავლესობა სწორედ, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ოჯახურ და სხვა საქირბორტო საკითხებს ეტანებოდა და მათ გარკვევასა და განმარტებას სცდილობდა მხატვრულ ნაწარმოებში.

დიდი დაბრკოლებები ეღობებოდა მწერალს ამ გზაზე, ხშირად ვერ ახერხებდა სავსებით გამოეთქვა თავისი აზრები, თავის გულის ნადები, ზოგჯერ სულ ვერაფერს ამბობდა, მაგრამ ერთი კი შეიძლება ითქვას გადაჭრით: იმ დროის თავისუფალი მწერალი არაფერს სწერდა სხვისის კარნახით.

ხელისუფლებას აზრადაც არ მოსდიოდა სიტყვა-კანშულ ლიტერატურისათვის, მხატვრულ სიტყვისათვის ერთი რამე ხაზი დაეწესებინა და სხვა ხაზით, სხვა მიმართულებით სვლა და წერა აეკრძალა.

პერიოდულ პრესაშიაც კი მცირერიცხოვან კონსერვატულ გაზეთებთან ერთად გამოდიოდა ბევრი ლიბერალი, აგრეთვე ნაციონალური და სოციალისტური ჟურნალ-გაზეთები.

და აი, იმ ქვეყანაში, რომელიც კომუნისტურ პარტიას თავის საუფლისწულოდ აქვს მიჩნეული, იმ ქვეყანაში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებს აქვს არსებობის უფლება და სხვა მიმართულების გამოცემა სასტიკად არის აკრძალული, სადაც კომუნისტურ პრესაში დღემუდამ ლიტანია-პარაკლისებურ კილოზე პირმოთენ ხოტბა-დიდებას უგალობდენ კომუნისტურ პარტიას და მის მეთაურს,—აი იმ ქვეყანაში გაიმართა, როგორც მოგახსენეთ, მხატვრულ მწერლობის ყრილობა.

არ არის ძნელი მისახვედრი, რა სახეს მიიღებდა ეს ყრილობა.

ჯერ გახსნილი არ იყო ყრილობა, როდესაც «ზარია ვასტოკა» ასეთის სიტყვებით მიეგება ზემოხსენებულ მეთაურში:

... «არა სხვა ვინმემ, არამედ სტალინმა, საბჭოების ლიტერატურის დიდმა მეგობარმა და ხელმძღვანელმა (!), ადამიანთა სულების ინჟენერები უწოდა საბჭოების მწერლებს...»

... სწორედ სტალინმა უწყალობა ჩვენს ლიტერატურას უღრმესის შინაარსის ლოზუნგი—სოციალისტური რეალიზმი, რომელიც შეადგენს ძირითად მეთოდს (!) საბჭოების მხატვრულ მწერლობის და ლიტერატურულ კრიტიკისა...

«აქედგან ცხადია, რა ისტორიული პასუხისმგებლობა ადევს (!) საბჭოების ქვეყნის მწერლებს, რომელნიც მოწოდებული არიან მხატვრულის სიტყვით ხელი შეუწყონ, ეკონომიკაში და კაცთა გონებაში აღმოფხვრან ყველა ის, რაც კი დარჩენილა კაპიტალიზმისა».

ამ გაზეთისათვის და საზოგადოდ კომუნისტური პრესისათვის არ კმარა, რომ ყოველდღიური პრესის დამონებულება და მხოლოდ იმას გაიძახის, რასაც

პარტია და მისი ბატონი ჩასახებენ. მათ სურთ მხატვრული ლიტერატურაც თავის მოახლედ გაიხადონ და შემოქმედება და აღმაფრენა ცირკულარებს დაუმორჩილონ, თავისუფალ სიტყვის მსახური უბრალოდ მოხელედ და, თუ გნებავთ, ხელოსნად აქციონ.

დიად, ხელოსნად.

—«ამხ. მ. გორკი საბჭოთა ლიტერატურის საამქროს უფროსი მასტერია და მშვენივრად ასწავლის, თუ როგორ უნდა მუშაობდნენ და ქმნიდნენ ჩვენის დროის მხატვრები», მოურიდებლად სწერს «ზარია ვასტოკა» იმავე მეთაურში (17 სექტ. 1934 წ.).

ვინც «ან»-ს ამბობს, იმან «ბან»-იც უნდა სთქვა-სო, ნათქვამია.

ვინც ლიტერატურა საამქროდ აქცია და უფროსი მასტერები გაუჩინა, მის წარმოდგენაში მწერალი ხელოსანია, რომელიც იმას სწერს, რასაც შეუტყვეთენ, «commande»-ს ასრულებს «sur mesure».

კალმის თავისუფლება, პუბლიცისტური თუ მხატვრული, არც ჩვენა გვაქვს წარმოდგენილი ისე, რომ მწერალი არავის და არაფერს ანგარიშს არ უწევდეს. მწერალი თავის დროის და გარემოცულობის შვილია, ხოლო ყოველი დრო, ყოველი ხანა შეხედულობათა და ჩვეულებათა, რწმენათა და ცოდნათა ჯამია.

ცხადია ამიტომ, რომ ის თავის დროის ცოდნა—ჩვეულებების მატარებელია, თავის ეპოქის გამო-მხატველი. მის ნიჭზე და შორსმჭვრეტელობაზეა დამოკიდებული, მის გამჭირახობაზე, როგორის თვალთ შეხედავს მწერალი თანამედროვე მოვლენათ და საზოგადოებას, რას გაიზიარებს და რას დაიწუნებს, რას გაკიცხავს და რას აქებს, რა ახალ გზას უჩვენებს თანამედროვეთ.

ოღონდ თავის შეხედულობის, მოწონების თუ დაწუნების, ერთის სიტყვით, თავის აზრების გამო-სათქმელად მას ეკვივრება თავისუფლება, მისი კალამი დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუნდაც მარტო მმართველთა და უფლება მოსილთა კი არა, მთელის ქვეყნის წინამდევაც რომ სწერდეს.

მწერალი თავის დროს ვერ წაუვა; უნდა არ უნდა, თავის დროის მოვლენათ პასუხი უნდა გასცეს, პუბლიცისტურ ნაწერში იქნება თუ რომანსა ან პოემაში. ეს მოვალეობაა მისი.

ოღონდ ყოველ მოვალეობას ახლავს უფლება, ისე როგორც ყოველსავე უფლებას—მოვალეობა.

თუ მწერლის მოვალეობაა ცხოვრების მოვლენათ გასცეს პასუხი, მისი უფლებაა—თავისუფლად, ძალდაუტანებლად და უკარნახო წერა.

წარმოსადგენია ასეთი თავისუფლება იქ, სადაც სახელმწიფომ მიითვისა ყველა უფლება და ყველა იარაღი, ხოლო თვით სახელმწიფო ერთმა პარტიამ და პარტია კიდევ ერთმა კაცმა, სადაც კანონად არის გამოცხადებული კოლექტურად არა თუ ქარხნების შენება და შიგ მუშაობა, არა თუ მიწის სენა და მოსავლის მოწევა, არამედ აზროვნებაც და მსჯელობაც?

ძველს რომში მხოლოდ მონა-გლადიატორები გაიძახოდნენ:



«Ave, Caesar, morituri te salutant», აქ კი მთელის ხალხის ძახილი: «ჩვენი შეუდარებელი ხელმძღვანელი, ჩვენი გენიოსი ბელადი, ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, ჩვენი დიდებული მეთაური» და სხვ. ისევ ის შიშის და განწირულების მისალმების ხმა ისმის.

მწერალთა ყრილობის მომწყობმა და მისმა თავმჯდომარემ გორკიმ მიწასთან გაასწორა კაპიტალისტური ქვეყნების მწერლობა. მისის სიტყვით ყველა ამ ქვეყნების დამალ ლიტერატურებს ერთი რამ აქვს საერთო; ეს ის, რომ ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან ქურდების, ბანდიტების, მძარცველების, მკვლელების, ჯაშუშების და ერთა ნაძირალების ქება-დიდებას.

სწორედ ამანხა ნათქვამი, ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ბნ გორკის ავიწყდება, რომ სწორედ მან შექმნა, რომ თვითონ ის ბძანდება მამა მთავარი იმ ლიტერატურისა, რომელმაც ხობტა შესხა და გმირად დასახა ბოსიაკი, ბოგანო და ნაძირალი, რომ მის კალამს ეკუთვნის თვით სათაური «ნა დნე», რომლის ერთადერთი და საუკეთესოდ გამოხატული ქართული სიტყვაა «ნაძირალნი». დაავიწყდა, რომ «ბოსიაკი» იდეალად გამოიყვანა, ის «ბოსიაკი», რომელიც არა თუ არავითარ დიქტატურას არ ემორჩილება, არამედ არც საღ გონებას და არც ელემენტარ ზნეობის მოთხოვნილებას.

ბ. გორკიმ სხვა ქვეყნების მწერლების ლანძღვას თავშეუკავებელი ტრებახი მოაყოლა: 1.500 მწერალი გვყავსო, და უკანასკნელი მათგანი საუკეთესო ევროპიელ მწერალს სჯობია; გარდა ამისა მათში სულ ცოტა 50 ძლიერ დიდის ნიჟის პატრონია, 5 ისეთი, რომელთაც გენიოსობა შეუძლიათ დაიქანდონ, და ორიც თვით გენიოსობის განხორციელება.

ნიჟიერების და გენიოსობის ეს სტატისტიკა რად ღირს მართლ!

არც ლანძღვა და არც ტრებახობა არსად და არასდროს არ გამომდგარა ჭეშმარიტების დასამტკიცებელ საბუთად.

ან საღ ჭეშმარიტება და საღ გორკი. გორკის ნათქვამს ბაჯალღო ოქროდ ბ. ფ. მახარაძე თუ მიიჩნევს.

«კაცობრიობის ისტორიაში ეს პირველია, უთვლის ბ. მახარაძე გორკის მისალოც ტელეგრამაში, რომ საბჭოების ქვეყანაში, ქვეყანაში სოციალისტურ აღმშენებლობისა, თავს იყრის სრულიად სკამშირო მწერალთა ყრილობა. ვერცერთი სხვა ქვეყანა მსოფლიოში, რაც უნდა «არხი ცივილიზაციის», ან «არხი კულტურის» პატრონი იყოს, ვერაფერს ამის მსგავს ვერ მოახერხებდა».

«არხი ცივილიზაციის» და «არხი კულტურის» ქვეყანა ვერ მოახერხებდა, ბოლშევიკურმა რუსეთმა კი მოახერხა და მოაწყო.

მამასადამე რუსეთი ყოფილა არხი ცივილიზაციის და არხი კულტურის ქვეყანა.

რას არ იტანს საბრალო ქალადი, რას არ დაწერიანებს საცოდავ კალამს უხეირო ხელი!

კომუნისტურ რუსეთს ბლომად ჰყავს ევროპაში

მეგობარი. მათ რიცხვს ეკუთვნოდა აქამდის გამოჩენილი ინგლისელი მწერალი უელსი.

სხვა ევროპიელ სტუმრებს შორის ისიც დასწრება მწერალთა ყრილობას მოსკოვში.

მოსკოვიდან გამობრუნებული უელსი სტოკჰოლმში შეჩერებულა და იქ სედუტ პრესისათვის გაუზიარებია თავისი შთაბეჭდილება მოსკოვის ყრილობის შესახებ.

— «ეს ჩემი მესამე მოგზაურობაა რუსეთში. უთქვამს უელს. მაგრამ ესლა გულამდგრეული ვბრუნდები იქიდან. ტექნიკური პროგრესი ან ჩამორჩენილობა კი არ არის ამის მიზეზი; ამეების დამფასებელი მე არა ვარ. სამაგიეროდ იმედ ვაცრუებული დავრჩი იმის დანახვაზე, თუ რა უგუნურებისა და მონობის ყოფაში არიან ე. წ. თანამედროვე რუსი ლიტერატორები. მის მაგიერ რომ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი დარჩენილიყვნენ, ისინი ემორჩილებიან მათ მასაზრდოებელ საბჭოებს.

— «ლოლდ საბჭოებს. მოაწონონ თავი და კრიტიკის ყოველსავე უფლებაზე ხელს იღებენ.

— «რუსეთში რომ გავმგზავრე, განზრახვა მქონდა მთავე მწერლებს გამოვბაასებოდი, მეთხოვნა მათთვის აზროვნებისათვის მეტის თავისუფლების მოსაპოვებლად შეექნათ მოძრაობა. რა გაკვირვებული დავრჩი, როდესაც ერთსულოვნად უარყვეს ჩემი რჩევა: სავსებით კმაყოფილნი ვართო, განაცხადეს, და სრულებით საქმარისად მიგვაჩინა ყველა ის, რაც არისო.

— «გორკის ველაპარაკე. ეს ძველი რევოლუციონერი მაინც გამოგებს ჩემს განზრახვას-თქო, ვიმედოვნებდი. მეტი არ არის თქვენი მტერი!.. დღეს გორკი უარყოფს თავისსავე წარსულს, უარყოფს დემოკრატიას ისევე, როგორც ყოველსავე განმთავისუფლებელ მოძრაობას... ყურს ვუგდებდი და სიზმარში მეგონა ჩემი თავი.

— «რუსეთში ყველა დამფრთხალია და არავის თავისი აზრი არ აქვს, გარდა გამოჩენილ ფიზიოლოგისა ივანე პავლოვისა... ას სამოც მილიონ მონათა ქვეყანაში მხოლოდ ეს მოხუცი გამოხსავს გონების თავისუფლებას და აზროვნების უფლებას».

ქვეყნის დიდებას ვერ შექმნის ქარხნის საკომუტების სიმაღლე და მისი ცეცხლი.

სხვა ცეცხლია საჭირო ამ დიდებისათვის. ის ცეცხლი, რომლის ცხველმყოფელ ალში მუშავდება და ნაყოფიერდება, ქარხნების წარმოებასთან ერთად, ეროვნულ ცხოვრების ყველა სხვა მხარე. უმისოდ კი ის უზარმაზარი ქარხნები და ფაბრიკები, რომელნიც სხვებისთვის მიუწოდებელ მიღწევად მიაჩნია მოსკოვის ხელისუფლებას და რომელსაც მან ანაცვალა ადამიანის სული და ხორცი, საფლავის ლოდებს გვანან იმ განსხვავებით, რომ საფლავის ლოდებ ქვევცხედრებია დამარხული, ამათ კი ადამიანის სული და განება აქვთ მოქცეული ქვეშ.

ბევრი განსაცდელი მოუვლია და ბევრი ჰიორი უნახავს ადამიანის აზრს თავის განვითარების ეკლიან გზაზე. სხვადასხვა ჯურის ტირანის მუხრუქები არ დაუკლია მისთვის. არ ყოფილა მმართველი, მწერლისა და მისის კალმის თავის ზრახვათა მსახურად



გამოყენება არ ესურვოს. ოღონდ მხატვრული სიტყვა შედარებით უფრო თავისუფალი იყო ყოველთვის.

მისთვის საგნის ჩვენება, კარნახი აქამდის არავის მოსვლია თავში, არავის გაუბედნია.

ბოლშევიკურმა ტირანიამ ესეც გაბედა.

გაბედა მისი საქმეა, მაგრამ ან მწერლის კალამი მას არ დაემორჩილება და მაშინ მხატვრული სიტყვა თავის სახეს შეინახავს და მხატვრული დარჩება, ან თუ დაემორჩილა, სახე დამანუჭულ სიდულტვირედ გადაიქცევა.

დარბაისელი.

### ჩვენი ეკონომიური პრესპექტივები და კონსერვატივის პაშტი

#### I.

თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ წესწყობილების გარდაქმნის პროცესი დღეს უკვე იმდენად გამოაშკარავებულია, რომ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დაახლოებით საერთო ხაზი უახლოესი პერსპექტივებისა. ამ პროცესის გარეგნული გამოხატულებაა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომლის არაჩვეულებრივ, გარდამტეხ ბუნებას ჩვენ ვრცლად შევეხეთ გასული წლის წერილებში<sup>\*)</sup>. ჩვენ მას აქ არ დაუბრუნდებით, მით უმეტეს, რომ დასაშვებელი და გამოსასწორებელი არაფერი გვაქვს, კრიზისის მსვლელობამ სავსებით გაამართლა იქ გაკეთებული ანალიზი. მხოლოდ აღვადგენთ მკითხველის მახსოვრებაში მთავარ დებულებებს იქ გამოთქმული კონცეპციისა.

გამოვდივართ იმ მთავარი, დღეს უკვე უდაოდებულეობიდან, რომ განვიცდით არა ჩვეულებრივს პერიოდულს, არამედ სტრუქტურალურ ეკონომიურ კრიზისს, ესე იგი, კაპიტალისტურ წესწყობილებამ, რომლის ორგანიული თანდათანობითი განვითარება დააჩქარა მსოფლიო ომმა და უზომო, გადამეტებულმა რაციონალიზაციამ, შექმნა სიგნით ისეთი ღრმა წინამდევგობანი, სოციალური და ტექნიკური, რომ შეუძლებელია ლიბერალური კაპიტალიზმის აღდგენა თავისი ევ. წოდ. «ავტომატიზმით» და «ეკონომიური ძალების თავისუფალი თამაშით». ესლანდელი ეკონომიური კრიზისის ძირითადი თვისებაა მუდმივი და პროგრესიული ხასიათის უთანასწორობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. ამის შედეგია, ერთის მხრით, დავროვება აუარებელი სიმდიდრის, საქონელთა «სტოკების», მეორეს მხრით მოხმარებელთა მყიდველობითი ძალის სისტემატური დაცემა უმუშევრობის გამო. ლიბერალური კაპიტალიზმისთვის განვითარების გზაზე მივიდა თავისი უარყოფამდე: რამდენად უფრო მაღალია საწარმოო ტექნიკა, ე. ი. რამდენად მეტი საქონლის გამოშვებას შესძლებს, იმდენად ნაკლებია მყიდველთა რიცხვი.

გამოსავალი ამ სოციალური ჩინიდან ერთადერთია: აჩქარებული საწარმოო ტექნიკურ პროგრესს

უნდა მოყვას აჩქარებულ ცვლილებას მისი პოლიტიკურ კალაპოტისა, საზოგადო ფორმების; ვინაიდან წარმოების საკითხი, როგორც ტექნიკური პრობლემა, მოგვარებულია,—უნდა მოგვარდეს შესაფერისად განაწილების, მოხმარების პრობლემაც. მოხმარებელთა მყიდველობითი ძალა უნდა იქნას აწეული შესაფერ დონეზე: 1) სამუშაოდ რაღს საგრონობი შემოკლებით, 2) სადაც კერძო ინიციატივას ეკარგება ნიადაგი, საზოგადოებრივ მუშაობის ორგანიზაციით სახელმწიფო კაპიტალით, 3) ისეთი ფინანსიური და სააღებ-მიცემო პოლიტიკით, რომელიც მიმართულია სოციალური კონტრასტების დაახლოებისაკენ, ეკონ. დემოკრატიისაკენ, იმით, რომ უზომო პირადი მოგება და თითოეული შემოსავალი განსაზღვრული იქნეს იმ წერტილამდე, სადაც უკვე ეკარგება შემოსვლას მნიშვნელობა მიმდინარე მოხმარებისთვის. ერთი სიტყვით, უნდა იქნეს აღიარებული ძველთა ძველი უბრალო ჭეშმარიტება, რომ ეკონომიური საქმიანობა, წარმოება მოხმარებელთათვისაა და არა წინაუქმო; რომ ადამიანის გენიოსობის მიღწევანი ტექნიკაში არ უნდა დარჩეს ფინანსური კაპიტალის იარაღად. არამედ უნდა იქნეს გამოყენებული მთელი კაცობრიობის მოთხოვნებთან დასაკმაყოფილებლათ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის ბუნებრივი უფლება მუშაობის და კეთილდღეობის. ნურავინ იფიქრებს, რომ ეს მარტო პუშმანიური ეთიკური მოთხოვნილებაა, პირიქით, ეს დღეს უკვე უბრალო საწარმოო ტექნიკური აუცილებლობაა, გამომდინარე თანამედროვე განვითარების ფაზიდან, წარმოების რაციონალიზაციიდან.

როგორ განვითარდება პროცესი დღევანდელი ეკონ. სისტემის გარდაქმნისა—მშვიდობიანი, ევოლუციური გზით. თუ ვერ აიცილებს აქა-იქ რევოლუციურ ნახტომებს,—ეს დამოკიდებულია თითოეული სახელმწიფოს ეკონომიურ და პოლიტიკურ სიმწიფეზე, მის ტრადიციებზე, მის სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურაზე, ერის ზნე ჩვეულებაზე. თუ განვითარებას მიმართულება და საბოლოო მიზანი ერთია ყველაათვის, სულ სხვადასხვა მისი ფორმები და დაბრკოლებები; ამ მხრით არ არსებობს ერთი შაბლონური გზა ყველა ერისთვის. რის მქერმეტყველი დამამტკიცებელია დღევანდელი ჭრელი სურათი მოწინავე ინდუსტრიალურ ქვეყნებისა.

უწინარეს ყოვლისა ეს არის ერის კულტურულ და მორალურ სიმადლის პრობლემა, რამდენად გამოიჩინენ უნარს ერის სხვადასხვა წრეები შეათანხმონ, შეაფარდონ ჰარმონულად ერთმანეთის ინტერესები, დაუმორჩილონ ესენი კოლექტივის მაღალ ინტერესებს, რამდენად ღრმაა მათში შვენება, რომ მთელი ერი ერთი გემშია მოქცეული.

ამნაირად, პირველი და მთავარი ტენდენცია მსოფლიო ეკონ. სტრუქტურალური კრიზისისა გვევლინება ასე: კერძო ინიციატივის მიერ მიტოვებული მოედანის სახელმწიფოს მიერ დაკავება, ანარქიული განუსაზღვრელი შეჯიბრების ალაგას გეგმიანი ეკონომიკის დამყარება, უზომო პირადი მოგების მოტივის შებოჭვა კოლექტივის ინტერესების სასარგებ-

<sup>\*)</sup> იხ. «დამ. საქ.» № 90, 91, 93.



ლოთ, ანუ ეტატიზმი. გეგმიანი ეკონომიკა არ არის შემთხვევითი, გარდამავალი მოვლენა, ის ლოლიკური გარდაუვალი ორგანიული შედეგია ტექნიკური პროგრესის. ლიბერალურმა კაპიტალიზმმა შექმნა ვებერთელა, სათუთი ეკონ. მექანიზმი კერძო ინიციატივის ფართო შემოქმედების ნიადაგზე და ამით გათავდა მისი პროგრესიული ისტორიული დანიშნულება, და ეს იმიტომ, რომ მისი იდეოლოგიური პრინციპი: აწარმოვე რამდენიც გინდა, მოუარე თავს როგორც გინდა,—დღეს აფეთქებას ემუქრება ამ მექანიზმს. პირიქით, ამ უკანასკნელის სრულის და პარმონიულად ამუშავებისთვის აუცილებელია გარკვეული ხელშეწყობა, მტკიცე გეგმა, ეს კი შეიძლება ხანგრძლივად მხოლოდ ფართო სოციალურ ნიადაგზე, ვინაიდან დღევანდელი მაღალი საწარმოვო ტექნიკა მოითხოვს მომხმარებელთა მაღალს მყიდველობის ძალას, ნივთიერ კეთილდღეობას. მაშასადამე, გეგმიანი ეკონომიკა, ეტატიზმი შორეულ პერსპექტივის თვალსაზრისით პროგრესიული მოვლენაა, მას უდევს საფუძვლად ღრმა სოციალური მომენტი, ფართე მასიური მოძრაობა. ეს რომ ასე არის, ამის მაჩვენებელია, თუმცა ეს უთუოდ პარადოქსალურად მოგვეჩვენება.—უპირველეს ყოვლისა თანამედროვე დიქტატურები, ფერით სხვადასხვა, მაგრამ ერთი და იგივე არსებით. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პარადოქსალურ ხანაში, როცა სწორეთ იმ ქვეყნებში, სადაც დიქტატურები ერთი ხელით ცეცხლით და მხვილით სწყვეტავენ სოციალისტებს, მეორე ხელით უხვად სარგებლობენ სოციალისტური იდეოლოგიური არსენალიდან—«ანხორციელებენ», სიტყვით მანც, სოციალისტურ პოსტულატებს.

გადავხედოთ ჯერ ამ დიქტატურებს?  
 საბჭოთა რუსეთი ხომ უკვე 15 წელიწადია რომ «სოციალიზმს» ანხორციელებს, თუმცა მის აღმშენებლებმა უნდა იცოდნენ, რომ სოციალიზმი ნიშნავს ხალხის კეთილდღეობას, არა გადატაცებას, შიმშილ-ტიტველობას და მონობას. მხოლოდ ამ შემთხვევაში, შეიძლება ეს უკუღმართობა და დამახინჯება კაცთა რუსეთის ყოველმხრივი ჩამორჩენილობას მიაწეროს. მაგრამ ავიღოთ ზედმიწევნით ინდუსტრიალური, კულტურული გერმანია. ჰიტლერმა სოციალიზმის ლოზუნგით მიიმხრო თითქმის ერის უმრავლესობა და გაიმარჯვა, ის გაბედულად უსაყვედურებდა გერმანელს სოც.-დემოკრატებს—არა ხართ კი სოციალისტებიო. უკვე მეორე წელია მისი ბატონობის, მაგრამ მას ეს იარაღი არ გადაუდგია, პირიქით, მესამე იმპერიის ლიტერატურაში სიტყვა «სოციალიზმს» ინდენჯერ მანც შეხვდებით, რამდენჯერ სიტყვა «Volkstum-ს. ყოველგან ირწმუნებიან უფრო მეტი ენერგიით, სიტყვით და კალმით, რომ ანხორციელებენ სოციალიზმს, თუმცა «გერმანულ» სოციალიზმს. თუ ეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება-მდე სტრატეგიული დემაგოგია იყო, რატომ სპირით ეს ესლა, როცა გერმანიის განუსაზღვრელი ბატონ-პატრონები არიან? ჰიტლერმა როგორც მასის დიდი ფსიქოლოგმა (დიდი დემაგოგი ყოველთვის დიდი ფსიქოლოგია) კარგად იცის, რა ესიამოვნება

ხალხის ყურს. ამიტომ დააქვთ ჰაენკრაიცილებს სოციალიზმის იარაღი, მაგრამ არსებითად, ჯერ-ჯერობით მანც, მთელი «უნზერე დოიჩ სოციალიზმი» განისაზღვრება სამუშაო კოლონიების შექმნით, სტუდენტთა უფასო სამსახურით ამ კოლონიებში და უმუშევართა კოლონიზაციაში. რამდენიმე თვის წინეთ გებელსმა განაცხადა: «თუ შევძელით უმუშევრობას ბოლო მოულოთ—ეს იქნება საბოლოო გამარჯვება».

ცხადია, რომ ზემოაღნიშნული განვითარების ლოლიკა, გერმანიის სუბიექტური და ობიექტური პირობები აიძულებენ ჰიტლერისმს. რამდენად ის ხანგრძლივ მოვლენად იქცევა.—თავის გეგმიანი ეკონომიკის სოციალური ნიადაგი, მისი კალაპოტი თანდათანობით გააფართოვოს. ყოველ შემთხვევაში გერმანიის ფინანსური კაპიტალი და მსხვილი ინდუსტრიის კაპიტნები მალე დარწმუნდებიან, რომ მათი უკანასკნელი იმედი, მათი დიდი ფაბორიტი—ჰიტლერი—უმადური გამოდგა, რომ განწირულნი არიან ისტორიის მიერ, დარწმუნდებიან ისე, როგორც ამა-ის დარწმუნდნენ იტალიის მაგნატები.

მუსოლინის კორპორატულ სისტემაში ზემოხსენებული პრინციპები უფრო გარკვეულად არის გატარებული: გეგმიანი ეკონომიკა, კერკო ინიციატივის გვერდით სახელმწიფო ეკონ.ინიციატივა, მუშის და კაპიტალის ურთიერთობის რეგულიაცია, საწარმოვო წრეების პროფესიონალური კავშირები (მათი იერარქია ასეთია: პირველი საფეხური—სინდიკატები ცალკალკე მუშა-მოსამსახურებისა და მწარმოებელთათვის; შემდეგი—ფედერაციები და უკანასკნელი განყოფილი კონფედერაციები, რომლებიც ერთდებიან კორპორაციაში; ასე რომ კორპორაცია უმაღლესი შეერთებული ორგანიზაციაა ამა თუ იმ საწარმოვო დარგის), მყიდველობითი შესაძლებლობის აწევა; აქ შედეგებიც უფრო რეალურია შედარებით.

ამ სამი დიქტატურის მაგალითი იმის მაჩვენებელია, რომ გეგმიანი ეკონომიკა, ეტატიზმი ლიბერალური კაპიტალიზმის მეტეორიდურ ეკონომ. სისტემაა, რომელიც ეკონ. შინაარსით, ისტორიული მანძილის თვალსაზრისით ლიბერალურს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შუა დევს. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა აქედან იმის დასკვნა, რომ ეტატიზმი უსათუოდ მოითხოვს როგორც პოლიტიკურ ფორმას—დიქტატურას, ისიც უმცირესობის დიქტატურას; ეს იქნებოდა იმის მზგავსი რამე რომ ხის იქით ტყე არ შეამჩნიოთ. სწორეთ ასეთი შეცდომა მოსდით იმიდეოლოგებს, რომელიც ამ დიქტატურების მიხედვით უარყოფენ სრულიად გეგმიანს ეკონომიკას, როგორც მტკიცე ეკონ. ტენდენციას, გარდაუვალს ეკონ. სისტემას. თუ მაგალითებია გარდამწყვეტი, გარდავხედოთ დემოკრატიულ სახელმწიფოებსაც, რომლებიც ამა თუ იმ ინტენსივობით დაადგნენ უკვე გეგმიანი ეკონომიკის გზას, მაგრამ ამასთანავე შეინარჩუნეს დემოკრატიული წესწყობილება, რამდენად ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება უმრავლესობის ინტერესებს: შეერთებული შტატები, ინგლისი, შვეიცია, დანია, პოლანდია, ჩეხოსლოვაკია, ბელგია (დე მანის



გეგმა) და სხვა. საფრანგეთი შედარებით განსაკუთრებულს ხელსაყრელს ეკონ. პირობებშია, მაგრამ ახლო მომავალში ისიც იძულებული გახდება უფრო გარკვეულად დაადგეს გეგმიანი ეკონომიკის გზას, და დაბრუნდეს უფრო ვართ. რომ გზა დემოკრატიული იქნება, მიუხედავად რეაქციის დიდი აქტივობისა.

ამ მხრით დასახელებულ სახელმწიფოებში სრულიად განცალკევებული წინამძღოლი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატებს და ეს გასაკვირიც არაა, ვინაიდან იქ საწარმოო ტექნიკა და მშასადამე სტრუქტურალური კრიზისიც უკიდურეს ზომამდე იყო განვითარებული. რუხველტის დიდს ექსპერიმენტს დღეს მთელი ქვეყნიერება შესცქერის, ბევრი—იმედით, ზოგნი—შიშით; ის ჩვენ გასულ წელში ცალკე წერილში განვიხილეთ; ესლა აღვნიშნავთ მხოლოდ რომ მისმა გაბედულმა ეკონ. პოლიტიკამ, მიუხედავად დიდი დაბრკოლებებისა და ზოგიერთ შეცდომებისა, საგრძნობ შედეგებს მიაღწია როგორც ეკონ. წონასწორობის აღდგენაში ისე სოციალურს სფეროში, მუშის და კაპიტალის ურთიერთობის მოგვარებაში. შეიძლება ითქვას, რომ ურუხველტოთ შეერთებულ შტატები დღეს კატასტროფის შუაგულში იქნებოდა. ბრძოლა გრძელდება და რა ტენდენციები ახასიათებენ მას, ამის წარმოდგენას მოგვცემს შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა გამგის სიტყვა 9 თებერვალს წარმოთქმული, სადაც მან სხვათა შორის განაცხადა, რომ რუხველტის პრეზიდენტობით დაიწყო ხანა უსისხლო რევოლუციისა; მდიდარი გაბატონებული კლასების წარმომადგენელი ჩამოშორებული იქნენ სახელმწიფო ძალაუფლებისაგან; ლიბერალური კაპიტალიზმის ხანამ სამუდამოთ გაიარა, ვცხოვრობთ ახალი ეპოქის დასაწყისში, რომელშიც ბოლო მოელება ყოველნაირს სოციალურ უსამართლობებს და ყველას ექნება ადამიანური ცხოვრების უფლება და საშვალეობა.

(შემდეგი იქნება) მ. უ.

**კომუნისტები საქართველოში**  
(ყოფილი კომუნისტის მოგონება)

ღმრთაობის მოგვლა და პარტიოტების დახვრეტა.

შემდეგ წერილში მკითხველი გაეცნობა ქართულ «უკლონიზმს», რომელმაც თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სტალინის ყურმოჭრილ მიმდევართა შორის. ამ წერილში მოკლედ შევეცნობთ ობოლადეს (ცნობილი იყო სიროტინის ფსევდონიმით) და ქართველ სახელოვან მამულიშვილების დახვრეტას.

მკითხველმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ ჩეკისტი ობოლადე ქართულ უკლონიზმის ერთი პირველი მერცხალთავანი იყო. თავიდან ის იყო რკინის გზის პარტიული კომიტეტის მდივანი და ცნობილი იყო, როგორც დაუდევარი ბუნების ადამიანი. იგი პირველი შეებრძოლა ორჯონიკიძის «დერჟიმორბობას» და შეეცადა დაეცვა კომუნისტური საქართ-

ველოს ეროვნული სახე. ერთ კრებაზე მან აშკარად გაილაშქრა ხელმძღვანელ წრეების წინააღმდეგ და სხვათა შორის სთქვა:

«ლენინი ხშირად ლაპარაკობს მის შეცდომებზე და მე მგონია, რომ ის მართლაც ყოველთვის სცდება; საქართველოში რომ ლენინმა წითელი ჯარი გამოგზავნა, ეს შეცდომა კი არა ბოროტებაც არის»-ო. ამ გამოსვლისთვის ობოლადეს მკაცრი საყვედური გამოუცხადეს.

1922 წლის ზამთარში იყო საქ. კომ. პარტ. პირველი ყრილობა, რომელზედაც ობოლადემ განაცხადა: «საქართველო თუ დამოუკიდებელია, ქართველები და ქართულათ უნდა განაგებდნენ ყველაფერს, მაგრამ მე ამის მზგავს ვერას ვხედავ, ჯარი ჩვენი არა გვეყავს, ყველაფერს გარუხების ელფერი არტყია, და, საქართველოს დედა ქალაქის—ტფილისის—პარტიული კომიტეტის მდივანი სომეხი რუხვენ მიკირტიჩიანცია». ამ გამოსვლისთვის ობოლადე მოხსნეს პარტიული კომიტეტის მდივანობიდან და დანიშნეს ჯარში. ობოლადე ბუნებით ანარქისტი იყო. ერთის მხრით, ის პარტიოტობას იჩენდა და მეორე მხრით უღმობელ ბრძოლას ეწეოდა «მენშევიკების» წინააღმდეგ. ამას გარდა მას ეტყობოდა ძალიან პატივმოყვარეობა, და აი სწორეთ ამ პატივმოყვარეობის მსხვერპლი შეიქნა ის. მას შეპირდა ორჯონიკიძე სამხედრო კომისრობას, თუ ის ქ. ჩოლოყაშვილს დაამარცხებდა. 1922 წლის ზაფხულზე ის დაედეგა ჩოლოყაშვილს, უკანასკნელმა ძალიან დაზარალიანა ობოლადის რაზმი ხევესურეთში. იტყვიან, კაცი ცხენს ვერ შესწვდა და უნაგირს დაუწყო მტვრევაო. ასე მოუვიდა ობოლადეს. მან ქ. ჩოლოყაშვილს ვერაფერი დააკლო და დაერია ხევესურ სოფლებს, ააოხრა ისენი და თანაც, როგორც სამხედრო დოვლათი, საქონლის ჯოგები გამორეკა და რუსის ჯარს ჩააბარა. საქართველოს ცეკაში ობოლადის მოქმედებამ დიდი აურხაური გამოიწვია და ნაწილი ჯოგისა, რომლის შექმმა ვერ მოასწრო ორჯონიკიძის ჯარმა, უკან იქნა გავზანვილი ხევესურეთში. ამ პირველი «გმირობის» შემდეგ 1923 წ. ორჯონიკიძე გზავნის ობოლადეს ქართულ ვანდევში (სტალინმა გურიას ქართული ვანდეა დაარქვა) და იქ გააჩალა მან გაუგონარი ტეროორი, რომლის მსხვერპლი თითონ გახდა.

ობოლადის მოკვლახე უპასუხეს ორასამდე კაცის დახვრეტით საქართველოში განუხჯელათ და გაუსამართლებლათ. მახსოვს მ. ორახელაშვილის სიტყვა ობოლადის მოკვლის შესახებ: «გურიანში სროლაზე, ჩვენ ჩეკიდან სროლით უპასუხებთოო». ობოლადის შემდეგ გურიანში გაგზავნეს ტალახაძე, რომლის შუარისძიებას არავითარი საზღვარი არ ჰქონდა. ანნაირად დაამყარეს «მშვიდობიანობა» გურიანში.

1923 წელს ტფილისში დახვრიტეს სახელოვანი ქართველი სარდლები: კ. აბხაზი, გ. ხიმშიაშვილი, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე და რ. მუსხელიშვილი. ეს შემადრწუნებელი ტეროორი, რა თქმა იუნდა, უზომო აღმფოთებას და გულისწყრომას იწვევდა მთელ ხალხში, თვით კომ. პარტიის ფართე წრებშიც. მაგრამ ვინ გაბედავდა ხმის ამოღებას? ვინ გაბედავდა გამოქომბებოდა უდანაშაულო მსხვერპლთ?



ბ. მდივანმა სცადა გაცნობოდა საქმეს (ვ.წულუკიძე იყო მისი ცოლის ბიძა), მოითხოვა საბრალმდებლო ოქმი, მაგრამ ყოველად შემძლე ჩეკამ ცივი უარი სტიკცა. ცხადია, მან არ ინდომა ნაუტბათევით შეთხ-  
წული ყალბი ბრალდებები ეჩვენებია თვით კომუ-  
ნისტ «სანოვნიკისათვისაც».

ამ მამულიშვილთა მოწამებრივ სიკვდილის ირ-  
გვლივ მრავალი ხმები დადიოდა ხალხში და ყოველი  
ქართველი მოწიწებით იხსენიებდა მათ სახელს.

ხედმეტი არ იქნება აღენიშნათ, რომ ქართველი  
სარდლები ისეთი გმირულის სიმშვიდით შეხვდენ  
სიკვდილს, რომ ჩეკის ჯალათებიც კი გაკვირვებას  
გამოთქვამდენ.

კირილე კაკაბაძე.

**მ რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე**

კიდევ ერთი მწარე ამბავი სამშობლოდან: გასუ-  
ლი ნოემბრის 8-ს ტფილისში გარდაიცვალა ვრი-  
გოლ რცხილაძე.

განსვენებული ეკუთვნოდა მიმდინარე საუკუნის  
დასაწყისზე გამოსულ პოლიტიკურ და საზოგადოე-  
ბრივ მოღვაწეთა თაგობას, და იყო ფრიად თვალსა-  
ჩინო პიროვნება. იგი იქნებოდა დაახლოვებით სა-  
მოცი წლისა. გიმნაზია დაამთავრა ტფილისში და  
უმალესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნი-  
ვერსიტეტში იურიდულ ფაკულტეტზე.



(გადაღ. 1919 წელში)

სწავლის დასრულების შემდეგ ჩაეწერა ვეჟილად  
და თან დაიწყო მწერლობა—სწერდა ფელეტონებს  
და ლიტერატურულ-კრიტიკულს წერილებს. მალე  
მიემხრო ახლად დაარსებულ ს.-ფედერალისტთა პა-  
რტიას, რომლის ერთი ლიდერთაგანი გახდა.

პარტიაში ბევრჯელ შეუსრულებია დიდი საპა-  
სუხისმგებლო დავალებანი, განსაკუთრებით იმ და-  
რგში, სადაც საჭირო იყო სერიოზული მოფიქრებუ-  
ლი შეფასება ვითარების. აღსანიშნავია მისი მედვა-  
რი შებრძოლება ერთ დროს პარტიაში შემოხიზნულ  
ანარქისტულ მიდრეკილებებთან და გაბედული, შე-  
ურიგებელი გალაშქრება ბოლშევიკების წინამდევ,  
ოკუპაციის პირველ წელს.

ყოველთვის მსურვალე მონაწილეობას იღებდა  
სხვადასხვა ქართულ დაწესებულებაში, სხვათა შო-  
რის თემგდომარეობდა «ქართველ მწერალთა სა-  
ზოგადოებას». იყო წევრი ეროვნული საბჭოსი და  
მერე დამფუძნებელი კრების. ერთხანს მას დაკისრე-  
ბული ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენ-  
ლობა სტამბოლში, სადაც საყოველთაო პარტიის-  
ცემა დაიმსახურა...

აჯანყების დღეებში ის დაატუსაღეს და მონაწი-  
ლეობას იღებდა დამოუკიდებლობის კომიტეტის  
პროცესში. ტრიბუნალმა სასჯელისაგან გაანთავი-  
სუფლა; მას აქტიუური მონაწილეობა აჯანყებაში  
არ მიუღია, რადგან მაშინ იგი მიაჩნდა არადროუ-  
ლად და მოუზნადებელად...

განსვენებულს ყოველთვის ახასიათებდა სიდინ-  
ჯე და თავდაბლობა; მოკლებული იყო ყოველგვარს  
აფექტიურობას, თავის გამოჩინებას, ეფექტობას.  
მუდამ ფხიზელი, კარგად მომზადებული საკითხებს  
უდგებოდა პირდაპირ, არ იცოდა გადახრა გადმო-  
ხრა რაიმე გარეგნულ წუთიერ გაგონების მიხედვით.  
ძვირფასი იყო მისი სიტყვა და მოქმედება ყოველ  
სერიოზულ საქმეში. თუ რამე დაევალებოდა, ყველა  
დარწმუნებული იყო, რომ დავალებას პირნათლად  
შეასრულებდა. მისი საჯარო გამოსვლები რომელ-  
სამე შეკრებულებაში ან დამფუძნებელ კრებაზე ყო-  
ველთვის ყურადღებას იპყრობდა სავნის მოფიქრე-  
ბული განხილვით. რასაც ამბობდა, ეს არ იყო ცა-  
რიელი სიტყვები, არამედ ფრიად აწონილდაწონი-  
ლი, უტყუარ ფაქტებზე დამყარებული მსჯელობა.  
მისი ბუნება წინამდევრი იყო ყოველი ექსტრემის-  
ტობის, მაშინაც კი როცა ეს უდიდეს ღირსებად ით-  
ვლებოდა, და არასოდეს შორდებოდა გარემო სინა-  
მდვილეს. ამასთანავე ერთად იყო იშვიათი შრომის  
მოყვარე, წმინდა ევროპიული სახის...

მისი სიკვდილი მეტად მძიმე დანაკლისია ჩვენი  
ეროვნული ცხოვრებისათვის, რომლის სამსახურში  
მას ბევრი საქმის გაკეთება შეეძლო კიდევ.

ს. ფ.

**ყენარ ოკეანის პრობლემა**

**III.**

მეოცე საუკუნის დასაწყისში იაპონიას წლიუ-  
რათ 700 ათასამდე მოსახლეობა ემატებოდა. ენერ-  
გიით სავსე ერმა ზედმეტ მოსახლეობისთვის ახალი  
კუთხეების ძებნა დაიწყო. დიდ ბრიტანეთის დომი-  
ნიონს—ავსტრალიას მიადგა, ხოლო აქ ინგლისი და-  
ხვდა, ინგლისს ჩრდილო ამერიკის შეერთებული  
შტატები გამოექმდა. იაპონიამ მდიდარ და ჰავის  
მხრივ მეტად ხელსაყრელ ავსტრალიას თავი გაანე-  
ბა, ხოლო მისი გაძლიერებით დაშინებულმა ინგლი-  
სმა სამხედრო ბაზა გაიჩინა. ეს ბაზა სინგაპურია.  
სინგაპური თავისი სიმაგრეებით, საზღვაო ბაზით  
სწორეთ შუა გზაზე ინდოეთსა და ჩინეთს შორის.  
ვისაც წყნარ ოკეანედან ინდოეთის ოკეანესკენ სავა-  
ჭროთ გასვლა უნდა, სინგაპურს გვერდით უნდა გა-  
უაროს და ინგლისის კონტროლს დაემორჩილოს.



კონტროლი კი დიდ ზიანს აყენებს ალბ-მიცემობას. სინგაპურის გაჩენა ბევრ უსიამოვნებას განაცდევინებს მომავალში იაპონიის სავაჭრო ექსპანსიას.

აზიის ნაპირებზე იაპონიის გადმოსვლას, მისი კუნძულების აზიის მატერიკთან დაკავშირებას, მისი წარმოების აყვავებას, ალბ მიცემობის განვითარებას და პოლიტიკურ გაძლიერებას შედეგათ იაპონიის დიდ სახელმწიფოთა «კონცერტში» შესვლა მოჰყვა 1910 წლიდან. ამ დროდან სხვა სახელმწიფოებთან ერთად ჩინეთის საგარეო ვაჭრობის კონტროლს იაპონიაც ახდენს. ამომავალი მზის სამეფო უძლიერესთა გვერდით ამოიჭიმა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე, მათსავით სწორ უფლებიანი. აზიის ყვითელი კანიანი, ევროპა-ამერიკის თეთრ კანიანთ გაუთანასწორდა. დიდ ომამდე ევროპის სახელმწიფოებმა და შეერთებულ შტატებმა წყნარ ოკეანეს ნაპირებზე ალბ მიცემობა გააორკეცეს, ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება გააძლიერეს, უთვისავეი კაპიტალი დააბანდა, განსაკუთრებით კოლონიებში. იქ სადაც გაუვალი ტყეები იყო, რკინის გზები გაიყვანეს; იქ სადაც ყაჩაღობა ადგილობრივ მცხოვრებთა მთავარ ხელობას შეადგენდა და ამ ხელობის საწარმოებლათ ადგილობრივი მმართველნი მოწმობებს იძლეოდნენ, სკოლები დაარსდა, შემოღებულ იქნა სასამართლოები. ევროპის კულტურის შესისხლხორცება, წარმოების შექმნა, ეკონომიურ-პოლიტიკური გაძლიერება იწვევს ჯერ კიდევ სუსტს, მაგრამ ფართე გამოსვლეს აზიურ ქვეყნებში. 1911 წლის ჩინეთის რევოლუტია ნელ-ნელა ანგრევს კარჩაკეტილ ცხოვრებას. მასში მომწყვდეული ერები იწყებენ ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ევროპის კოლონიებშიც თავისუფლების სიომ დაჰბერა. წყნარ ოკეანეს ნაპირები ნელ-ნელა ამოძრავდა, ხოლო რუსეთის სამფლობელო—შუა აზია კი უმოძრაოდ დარჩა.

ევროპის დიდმა ომმა მეომარ სახელმწიფოთა უმრავლესობის ეკონომიური მდგომარეობა ძალზე შეარყია, ზოგი მათგანი დიდად დაზარალდა, ხოლო ზოგმა ეომარ სახელმწიფომ და განსაკუთრებით ნეიტრალურმა ქვეყნებმა ხელი მოითბეს და საგრძობლად გამდიდრდნენ. ხელი მოითბეს ინგლისმა, კიდევ უფრო მეტად ჩრდილო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ. სანამ შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, ხუთი ათასი კილომეტრის მანძილზე, ამერიკის სავაჭრო გემები თავისუფლად დასრიალებდნენ და სანამ ოკეანე შეერთებულ შტატებში გროვდებოდა, შეერთებულ შტატების საქონელს კი ცეცხლ წაიკიდებელი ევროპა ნთქავდა, ამერიკა არხეინად იყო, ხოლო როცა გერმანიის წყლის ქვეშ მავალი ნავეები გაჩნდა და შტატების ვაჭრობას დაემუქრა, ამერიკაში ყვირილი ატყდა, გერმანია ცივილიზაციას ემუქრებოდა, ეს უკანასკნელი უნდა ვიხსნათ, და ომში ჩაერთა.

შეერთებულ შტატებზე უკეთეს მდგომარეობაში იაპონია აღმოჩნდა. ევროპა-იაპონიას შორის მანძილიც გაცილებით მეტია, ვინემ ევროპა ამერიკას შორის. იაპონია ომში ერთა, მაგრამ მას მხოლოდ რამდენიმე კაცი მოუკლეს და რამდენიმე ათეულიც დაუჭრეს. ამავე ხანებში კი მისი ვაჭრობა-მრე-

წველობა და პოლიტიკური გავლენა შორეულ აღმოსავლეთში განსაცვიფრებლათ გაიზარდა. დიდ ომის პერიოდში იაპონიამ მრეწველობის განვითარებას სამი მილიარდი იენი მოახმარა. აქედან კარგი ნაწილი კორეას და სამხრეთ მანჯურიის ინდუსტრიის განვითარებას ხვდა წილად. კორეასა და სამხრეთ მანჯურიის დიდ ომის დროს აუარებელი ფაბრიკები და ქარხნები გაიხსნა. ამ ერთ დროს მივარდნილ კუთხეებში ინდუსტრიალური ცენტრები ჩაისახა. იაპონიის, კორეას და სამხრეთ მანჯურიის ინდუსტრია ერთმანეთში შედუღდა. ექსპორტი გაძლიერდა. იაპონიის საგარეო ვაჭრობა რამდენსამე მილიარდს აღემატა.

იაპონიის ამ ზრდამ, მისი მთავარი მეტოქე ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა 1917 წელს ლანსინგ-ის შესთანხმების თანახმად, იაპონიის «განსაკუთრებული ინტერესები» ეცნო ჩინეთში. დიდი ომის შემდეგ გამოიჩვენა, რომ დამარცხებული აღმოჩნდა მთელი კონტინენტალური ევროპა. გამარჯვებული გამოვიდნენ დიდი ბრიტანეთი, ამერიკა და იაპონია. აღმოჩნდა ისიც, რომ სააღმ-მიცემო დავის და პოლიტიკურ შეხლა-შემოხლათა ცენტრი კიდევ უფრო გადიხარა ატლანტიკის ოკეანედგან წყნარ ოკეანესკენ. აქ კი იაპონიის ყომერციული სიძლიერე და პოლიტიკური გავლენა თვალწინაა. დიდ ომში გამარჯვებულებს ნადავლის გაყოფის დროს მანდატებიც ჯიბეში ჩაუდეს, მათი ფინანსურ-ეკონომურ სიძლიერეს ტერიტორიალური სიძლიერეც თან დაურთეს.

დიდი ომის შემდეგ, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები—ვილსონის სახით—ევროპას გაებუტა. ევროპის გამოქნილ დიპლომატებს და მათ მეტად რთულ და ბუნდოვან დიპლომატიას ვერაფერი გაუგო. ეკონომურათ და ფინანსურათ გამდიდრებულიმა, პოლიტიკაში ვერ იხეირა. ვერსალს მოშორდა. გაკოტრებულ ევროპიდან სიმძიმის ცენტრი ამერიკის შეერთებულ შტატებმა წყნარ ოკეანესკენ გადაიტანა. ხოლო აქ იაპონიის სააღმ-მიცემო საქმიანობა მეტად დიდი აღმოჩნდა.

შეერთებულ შტატებმა შორეულ აღმოსავლეთში განსაზღვრული პოლიტიკა დაისახა. ეს პოლიტიკა ინგლისელებისაგან ნასესხებია და მისი დედა აზრი შემდეგია: ძლიერი მოწინააღმდეგის სხვების ხელებით დასუსტება. შეერთებულ შტატების უძლიერესი მოწინააღმდეგე შორეულ აღმოსავლეთში იაპონიაა. ამერიკა შორეულ აღმოსავლეთში იცავს ჩინეთის და რუსეთის მთლიანობას, რომ მათი საშუალებით იაპონია დაასუსტოს. ამით აიხსნება ის, რომ 1918 წელს მან აიძულა იაპონია ციმბირიდან ჯარი გაეყვანა და რუსეთისთვის შორეულ აღმოსავლეთში მთლიანობა შეენარჩუნებია. ამერიკა ფიქრობს მთლიანი ჩინეთ-რუსეთის საშუალებით ამომავალი მზის ქვეყნის ისევ კუნძულებზე გადაარეკას, მისი ეკონომიური ბაზის—კორეა—სამხრეთ მანჯურიის—მისგან ჩამოგლეჯას და ამ რიგათ ძლიერი სახელმწიფოს მეორე ხარისხიდან სახელმწიფოდ გადაქცევას.

(შემდეგი იქნება)

ი. ხალაყაია.



### წერილი ამერიკიდან

გასულ ოქტომბერს შემთხვევა გვქონდა გვენახა ქალაქ ჩიკაგოში გამართული გამოფენა, ეგრედ წოდებული «ქვეყნის გამოფენა» ან «საუკუნე პროგრესისა» (უფრო სწორი სახელი იქნებოდა «საუკუნეების პროგრესი»).

გვგონია, მკითხველისთვის არ იქნება დროს დაკარგვა, თუ ორიოდ სიტყვით აღვნიშნავთ ამ მეტად საინტერესო გამოფენას. აქ ჩვენ დავეყვით ხუთი დღე და ვეცადეთ გვენახა უფრო საყურადღებო ნაწილი, რადგან ყველაფრის დათვალიერებას მოუწოდებოდა არა ნაკლებ ერთი თვისა.

გამოფენა გაჭიმულია ქალაქ ჩიკაგოს საუკეთესო ნაწილზე—ტბა ირის ნაპირზე და უჭირავს ორი ათას ქცევას (900 კვ. საფ.) მეტი ადგილი. შესავალი ფასიანია. უკვე ინახულა ოცდა ცხრამეტმა მილიონმა ხალხმა. აქ წარმოდგენილია თითქმის ყველაფერი, რაც კაცობრიობას შეუქმნია. მოზრდილი ადგილი უჭირავს შეერთებულ შტატების მთავრობის ექსპონატებს, განსაკუთრებით მედიცინასა და მეცნიერებაში. ამაში წილი აქვთ გერმანიას, საფრანგეთს, ბრიტანეთს და იტალიას. ნაჩვენებია ყოველნაირი ავადმყოფობა და მეცნიერების განვითარება ძველი ბერძნების დროიდან ჩვენს ხანამდე.

ცალკე წარმოდგენილი აქვთ ამერიკის ყველა 48 შტატები, რითაც ყოველი მათგანი გამოჩენილია ან განირჩევა მეორისგან, განსაკუთრებით აგრიკულტურის დარგში, ჩრდილო ალიასკის ღარიბ ექსპონატებიდან დაწყებული—ფლორიდის ძვირფას მცენარესა და მის პროდუქტამდე. ამ გამოფენაში მონაწილეობა მიუღია ამა თუ იმ სახით თითქმის დედამიწის ზურგის ყველა ერს, გარდა რუსებისა.

ჩვენ ვერ შეუდგებით ამ მეტად საინტერესო და მდიდარ გამოფენის აღწერას, ეს შორს წავგიყვანდა, მხოლოდ გამოვთქვამთ საერთო შთაბეჭდილებას. რომ დაუყვირდებით ნანახს, ერთი რამე თვალში გეცემთ—ეს არის განსხვავება ოფიციალურ, მართველობის, მთავრობის გამოფენებისა კერძო წარმოებისაგან. ინდივიდუალურისაგან. ეტყობა პირველში არ არის ის ინტერესი, იმპულსი, რომელიც მეორეს გამოუჩენია. კერძო პიროვნების მეცადინეობას აუყვანია წარმოება უმაღლეს წერტილამდე. შეადარეთ ექსპონატები ან «სოფლები», რომელიც წარმოდგენილი აქვთ, მაგალითად ინგლისს, იტალიას, საფრანგეთს, პოლანდიას და სხვებს კერძო პირებისას, განსხვავება მათ შორის დიდია. თვით ამერიკის მდიდარ შტატების გამოფენა ვერ შეედრება ვერც ერთს კერძო დაწესებულებისას. მაგალითად საუკეთესო შტატების გამოფენას—კალიფორნიის, ვაშინგტონის, ფლორიდის, გიორგიის და სხვას უჭირავს უმნიშვნელო ადგილი შედარებით ჰენრი ფორდისა, რომლის გამოფენას უკავია ცხრა ქცევაზე მეტი ადგილი და ღირს სამი მილიონი დოლარი. აქ არის ნაჩვენები არამც თუ მთელი განვითარება ავტომობილის წარმოებისა, არამედ მთელი ისტორია ტრანსპორტის განვითარებისა დაწესებულ ეგვიპტელების და ინდოელების ურმებიდან. ნაჩვენებია ნიმუში ყოველ

საუკუნის ეტლისა—დღევანდელ საუკეთესო ავტომობილამდე და მატირებლამდე, ნამდვილი ზომისა. ასეთია სხვა ავტომობილების მწარმოებლებისაც: ჯენერალ მოტორის, კრაისლერის და სხვა. არ დაუზოგავთ არაფერი, რომ გაჩვენონ მთელი ავტომობილის გაკეთება, რომელიც ერთ საათში თქვენს თვალწინ მხათ არის.

ზედმიწვენი საინტერესოა ფაირსტოუნის რიზინის შინების გაკეთება. თქვენ წინ იღებენ რძის მსგავსს წვეს, რომელიც მოწვეთავს იქვე დარგულ ხეებიდან. ამ წვეს იქვე სიმკვით მაწონსავით ასქელებენ, წყალს სწურავენ, დარჩენილ «თხლეს» მანქანით ზელავენ, «რეცხავენ» სხვადასხვა ქიმიურ მასალებით, ცხელ ორთქლში აცხობენ... და სხვადასხვა... ამას თუ გაყევით ერთი ქცევის მანძილზე, დაახლოებით ერთ საათში, თქვენს წინ ასობით დამზადებული შინები გამოდის.

არა ნაკლებ საინტერესოა და მეტად ლამაზ სურათს წარმოადგენს უბრალო პურის გამოცხობა. ელექტრონის მანქანების საშვალბით, კაცის ხელის მოუკიდებლად, მინის ქვეშ თქვენს წინ ფქვილი რძეში იზილება, სწორი წონით იჭრება, საცხობ თეფშეში ჩადის. მინის ოთახში ელექტრონის სიციხით ცხვება... იჭრება (ამერიკელი ქალს არ უყვარს დაუჭრელი პური), ქალაქში იხვევა და მატარებლის ვაგონში ათასობით შედის.

უღვევლია მსგავსი ოპერაციები ათასნაირი საქმელების დამზადებისა: მწვანეულობის, ხილის, ხორცის, სხვადასხვანაირი სასმელების...

დიდი ადგილი უჭირავს ეგრედ წოდებულ «მომაგლის» სახლებს: ქვის, ხის, რკინის, მინის, ყოველნაირი ავეჯეულობით და ბალებით...

არ არის გამოტოვებული გასართობებიც, როგორც ბავშვებისთვის ისე მოზდილებისთვისაც. ამას იმდენი ადგილი უკავია და ისე თვალსაჩინოდ არის, რომ, თუ მომსვლელს საყოფი ცოდნა და განვითარება არ აქვს, გამოფენის ძირითადი ღირებულება გამოეპარება.

აქვე ნახავთ თითქმის ყველა ერების არამც ნაწარმოებს, არამედ მათი ადამიანეულებებს: ცეკვას, სიმღერას, ჩაცმა-დახურვას და სხვა. რასაკვირველია ნაჩვენებია საუკეთესო, რაც მათ გააჩნიათ. კარგი რომ ჩვენ არ ვიყავით წარმოდგენილი, თორემ არ იქნებოდა უკეთესი იმისა, რაც გასულ კვირას ნიუ-ორკის სინემაში ვნახეთ—რუსების მიერ გადაღებული სურათი «რუსეთის პროვინცია—საქართველო»: ღარიბულ ჩოხაში ჩაცმული ორი მოხუცი ქართველი—«ღვინოს გამკეთებელი»—ყანწით ღვინოს სვამდენ; ორი რუსის მოხელე ქალი ქართველის ვენახში, იქვე რამდენიმე ფეხშიშველა მომუშავე ბავში მოძებში...

ჩიკაგოში გამოფენის გარდა მეტად ნასიამოვნები დავრჩით ამ ქალაქში მცხოვრებ თორმეტამდე ქართველის ნახვით. ჩვენ ხშირად ვჩივით და ვწუხვართ სახლვარ გარედ მყოფ ქართველების ერთმანეთის გაუტანელობაზე ერთმანეთთან არამეგობრულ განწყობილობაზე. არა გვგონია ამისთვის საყოფი საბუთები გვქონდეს. რასაკვირველია, პოლიტიკურ-ეკონ

ნომიური მდგომარეობა თავის ბეჭედს გვასვამს, მაგრამ ქართველის განსაკუთრებული სტუმარ მოყვარე ჩვეულება, სადაც ის არ იყოს. უკვდავია და მეტად გამამხნეველი. ორი-სამი წლის წინედ მიწერ-მოწერა გვექონდა პირად უცნობ ჩიკაგოში მყოფ სამოთხე ქართველთან. იქ წასვლა რომ განვიზრახეთ, მივწერეთ, თუ კიდევ ამ ძველ მისამართებით ცხოვრობთ, სასიამოვნო იქნება თქვენს ნახვათქო. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა პავროპლანით სწრაფი წერილი მივიღეთ: «უეჭველად გვაცნობეთ სადგური და დრო ჩამოსვლის, გვიცნობთ ჩოხა-ახალუხის ჩაცმულს სადგურის შესავალთან მაღლად მდგარს»ო. რა გაეწყობოდა, არ გვინდოდა მათი შეწყობა, მაგრამ ვუპასუხეთ... მატარებლიდან ჩამოვედით თუ არა, სადგურის კიბეზე მდგარი ქართველების და ჩვენი თვალები ერთმანეთს მოხვდნენ. «გამარჯობა, მინა! მე ვარ ივანე, ეს არის ქეთო, ის ნიკო და ისეც ჩვენი პატარა მარტა»!.. გვეშინოდა გულჩვილობა არ გამოგვეჩინა. ვეცადეთ მშრალი თვალებით მიგვეტებოდით. მომზადებულ ავტომობილებით სახლში წავიქანეთ... დღეები გამოფენაზე ვატარეთ, საღამოები ქართველებთან. მიუხედავად სხვადასხვა პოლიტიკურ აზრისა გვაერთებდა ქართველობა. ერთდგურ, როცა თითქმის მთელი ჩიკაგოს ქართველობა მათი ოჯახობით ერთად ვიყავით, ერთ ქართველის ამერიკელმა ცოლმა გაკვირებით იკითხა, თუ წინათ ყველა ნაცნობ-მეგობრები ვიყავით? მისმა ქმარმა მიუგო: «საჭირო არ არის ნაცნობობა ქართველებს შორის, რომ მეგობრულად შეხვდეთ ერთმანეთს, საკმაოა მხოლოდ, რომ ქართველები ვართო»...

ძიულეული ვიყავით. დაგვეტოვებია ჩიკაგო და იქაური სტუმარმოყვარე ქართველობა, მაგრამ ამოუშრეტელი დარჩება ჩვენს მასსოვრობაში მათი ერთსულოვნება და პატივცემა...

ნაური.

### 6. მაკის ხსოვნის აღნიშვნა

«სერკლ კოკაზიენ»-ში მომავალ იანვარში გაიმართება საჯარო კრება ახლად გარდაცვალებული გამოჩენილი მეცნიერის, აკადემიკოსის ნიკო მაკის ხსოვნის პატივსაცემლად. მოხსენებას წაიკითხავს პროფეს. ექვთიმე თაყაიშვილი. მონაწილეობას მიიღებენ სხვებიც.

### სომხური კრების

სომხურ ყოველდღიურ გაზ. «კუხაპერი» (დაშნაკელების პარტიის მთავარი ორგანო) მოთავსებულია სრული თარგმანი ს. ფირცხალავას წერილისა «სომხები და ქართველები» («დამ. საქ.» № 105). წინააღმდეგობით აღიქვამს რედაქციისაგან შემდეგი: «როგორც ყველამ უწყის, წელს სომხეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე პარიზში ქართველმა საზოგადო მოღვაწემ დ. ვაჩნაძემ მოსალოცი სიტყვა წარ-

მოსთქვა. საბასუხო სიტყვაში ა. ჯამალიანმა აღნიშნა სომხ-ქართველთა ძობა წარსულში და დასახმათი თანამშრომლობის აუცილებლობა სომხეთისა და საქართველოს განთავისუფლებისთვის. ჯამალიანის სიტყვა თავის დროზე მოთავსებული იყო «დამ. საქ.»-ში. ამ სიტყვის გამო ქართველ სოც.-დემოკრატიკების ლიდერმა ს. ფირცხალავამ იმავე გამოცემაში წერილი დასტამბა, რომლის თარგმანს აქვე სრულად ვათავსებთ».

ს. ფირცხალავას წერილის თარგმანი დაიბეჭდა დამნაკელების სხვა გაზეთებშიც.

### გერმანულ კრებისად

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის პრესის ყურადღება მეტად შეპყრობილია საკუთარი შინაური და საგარეო საკითხებით, ის ბოლშევიზმის პრობლემებსაც აქცევს ყურადღებას, ე. ი. არა მარტო ბოლშევიზმის როგორც ასეთის, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის და იქ მომწყვდეულ ეროვნებათა ურთიერთობის კითხვებსაც.

საბჭოთა კავშირის ნაციათა ლიგაში მიღების დროს, რასაც თითქმის მთელი გერმანული პრესა დაცინვით და უარყოფით შეხვდა, პრესამ ხაზი გაუსვა იმ როლს, რომელსაც საერთაშორისო დისკუსიაში საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვა თამაშობდა. ევროპის ეროვნულ უმცირესობათა კავშირის მდივნის ამენდეს წერილი, რომელიც მართალია კითხვას უმთავრესად კულტურულ-ნაციონალური თვალსაზრისით უდგებოდა, მაგრამ მაინც ცხენებულ ეროვნებათა ტრაგედიანედ ენერგიულად მიუთითებდა,—მრავალ გერმანულ გაზეთში მოთავსდა. იმავე დროს გამოვიდა ცნობილ მეცნიერულ-პოლიტიკურ ჟურნალში «Zeit. fur Geopol.»-ში ბერლინის ქართული პრესის ბიუროს ხელმძღვანელის ნ. იმნაიშვილის წერილი «ეროვნებათა კითხვა საბჭოთა კავშირში», რომელმაც გერმანულ პრესაში სასურველი გამოძახილი ჰპოვა.

ცნობილმა ბერლინელმა გაზეთმა «Germania»-მ თავისი 4 ოქტომბრის ნომერში ამ საკითხს უძღვნა მოწინავე «ევრედ წოდებული რუსეთი»-ს სათაურით. ავტორი, შეფრედაქტორი, ემილ რიტტერი არჩევს ფინლანდიელ პროფესორის კარლ ტიანდერის გერმანულ ენაზედ გამოსულ წიგნს «დამოსავლეთ ევროპის გამოღვიძება», და აღნიშნავს რა ამ ვრცელ და დალაგებულ შრომის დადებით მხარეებს, შენიშნავს: «როგორც სჩანს, ტიანდერი, რომლის ერი გერმანულ ჯარებთან ერთად იბრძოდა თავისუფლებისთვის საბჭოთა კავშირის დამაარსებელთა წინააღმდეგ; სხვა ეროვნებათა დღევანდელ მდგომარეობას მაინც მეტად ოპტიმისტურად უყურებს. ამიერ-კავკასიელ ნ. იმნაიშვილს კი, რომელიც «Geopolitik»-ის სექტემბრის ნომერში აშუქებს საბჭოთა კავშირის ეროვნებათა კითხვას, გამოაქვს გაცილებით უფრო მკაცრი მსჯავრი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და საამისოდ დამარწმუნებელი საბუთებიც მოჰყავს».

ამის შემდეგ პატივცემული ავტორი ეხება ნ. იმ-  
ნაიშვილის წერილის შინაარსს, რომელსაც ის თვი-  
თულ მუხლში მხარს უჭერს, და გაბედულათ მიუ-  
თითებს მკითხველთ «ეგრეთ წოდებულ რუსეთის»  
ჩაგრულ და განაწამებ ერების სამართლიან საქმეზე.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე ანერბაიჯანელ პა-  
ტრიოტთა განხეთის «ისტრიკალის» თანამშრომლის  
პილალ მუნშის წერილი გერმანიის «შრომის ფრან-  
ტის» გაზეთ «Der Deutsche»-ს 23 სექტემბრის ნომე-  
რში, რომლის სათაურია «საბჭოთა ბატონობა ანე-  
რბაიჯანში და საქართველოში», წინ უძღვის რედა-  
ქციის წინასიტყვაობა, რომელიც გამსჭვალულია  
კერძოდ კავკასიის ერთა და საერთოდ საბჭოთა კა-  
ვშირის ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელ ბრძო-  
ლისადმი თანაგრძნობა-სიმპატიით.

ავგისტოს აჯანყების ათის წლის თავზედ მოთა-  
ვებულ იქნა წერილები ბერლინის გაზეთ «M. Volks-  
zeit.» ში (2 სექტ.) და გერმანიის უდიდეს კათოლი-  
კურ გაზეთ «Köln. Volkszeitung»-ში (7 სექტ.).

ყველა ამ წერილებში აღნიშნულია კავკასიის  
ერთა ძმური კავშირი და კავკასიის კონფედერაციის  
პაქტის მნიშვნელობა.

### ქართველ ინჟინერთა საზოგადოება

საზოგადოების კრებაზე 17 ნოემბერს მოხსენება  
წაიკითხა გ. ქურულმა «ქართველი ერი, როგორც  
მშენებელი». ამ მოხსენების თეზისებს შემდეგ ოუმე-  
რში გავაცნობთ მკითხველებს. მოხსენებას მოყვა  
კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს კ. კანდე-  
ლაკმა, ი. სალაყაიამ, რ. გაბაშვილმა და არ. ზურა-  
ბიშვილმა. I დეკემბერს იმავე საზოგადოებაში მოხ-  
სენება გააკეთა ტ. წულაძემ La television-ის შესახებ.

### ქართული გუნდი მონბელიარში

ქ. მონბელიარში 17-18 ნოემბერს ქალაქის თე-  
ატრში გაიმართა დიდი ორიგინალური ფრანგული  
წარმოდგენა, რომლის მიხანი იყო ეჩვენებინა საზო-  
გადოებისთვის ადგილობრივი ცხოვრების ძველი და  
ახალი სურათები, ცეკვით და სიმღერებით. წარმო-  
დგენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყო  
სოჭოს ქართველ მომღერალთა გუნდი. წარმოდგე-  
ნის რეჟისურამ ამ გუნდის გამოსვლა დაუკავშირა  
პიესას და მის ორგანიულ ნაწილად გახადა. ამიტომ  
ქართველ მომღერალთა სარბიელი შემოხლდული  
იყო და მას არ შეეძლო ფართოდ გაშლა და ქართუ-  
ლი მუსიკის სრული დემონსტრაცია. ეს უნდა ყო-  
ფილიყო მხოლოდ ევროტური ქვეყნის ვოკალური  
და პლასტიური სანახაობის პასაჟი მესამე აქტის მე-  
ოთხე სურათში, სადაც მომქმედი პირები ერთად  
დროს ატარებენ მონბელიარის ციტადელზე. ქართ-  
ულმა გუნდმა საუცხოვოთ შეასრულა თავისი დანი-  
შნულება და უჩვენა საზოგადოებას ქართული მუსი-  
კალური კულტურის სიმადლე, რაიც ხანგრძლივი  
ტაშით იქნა დაჯილდოვებული. ხორამ ბ. შენგელი-

ას ლოტბარობით შეასრულა ქართული ეროვნული  
ჰიმნი და «ჩონგურს სიმები ავაბი». მონაწილეობას  
იღებდნენ ბ. ბახტაძე, ბურძგლა, ალანია, ჩუბინიძე,  
თაყაიშვილი და სხ. სიმღერებს მოყვა ლეკური, რო-  
მელიც შეასრულეს ქ. გომართლისამ და ბ. გედევა-  
ნიშვილმა და რომელმაც დიდი აღფრთოვანება გა-  
მოიწვია.

დიდი მადლობის ღირსნი არიან სოჭოს კალო-  
ნიის გამგეობის წევრი ბ.ნი ბურძგლა, რომელმაც  
გუნდს საფუძველი ჩაუყარა და ბ. შენგელია, გუნდის  
ლოტბარი და ორგანიზატორი, აგრეთვე ბ. დ. ჭიბ-  
რიშვილი, რომელმაც გუნდს პარიზიდან ქართული  
ქულაჯები ჩამოუტანა.

ქართულმა სიმღერებმა ფრანგებზე მშვენიერი  
შთაბეჭდილება დასტოვა და ადგილობრივმა გაზე-  
თებმა ქება უძღვეს.

გ. ტოგონიძე.



იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

კ. კანდელაკის წიგნი:

### საქართველოს ეკონომიური მუშაკნობა.

წიგნი პირველი:

ტერიტორია და მდსახლეობა.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

#### I. შესავალი.

1. ერი, როგორც ეკონომიური ორგანიზმი.
2. ეკონომიურ საქმიანობის უმთავრესი პი-  
რობები.


#### II. საქართველოს ტერიტორია.

1. საქართველოს ტერიტორიის სივრცე.
2. საქართველოს ტერიტორიის ზედაპირი.
3. სახმარი და უხმარი მიწა საქართველოში.

#### III. საქართველოს მდსახლეობა.

1. რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის.
2. საქართველოს მოსახლეობა ეროვნების მი-  
ხედვით.
3. ქალაქის და სოფლის მოსახლეობა.
4. ქ. ტფილისის მოსახლეობა.
5. წერა-კითხვა საქართველოში.
6. მოსახლეობის სოციალური და პრაფესიონა-  
ლური შემადგენლობა საქართველოში; სხვა ქვეყ-  
ნებში.
7. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობა.
8. შრომის პირობები და კვება მოსახლეობის  
საქართველოში.
9. დასკვნა.

წიგნი გამოვა დაახლოვებით 150 გვერდი და  
ელირება საფრანგეთში 10 ფრ.



„დამ. საქარ.“ 1934 წ. სარჩევი

I. მეთაურები:

აბელ შვეალე. 1933 წელი 97. სტალინის აპოთეოზი 98. მოსკოვი და ქენევა 99. მესე ნომრის გამო 100. 26 მაისი 101. მათი «სამშობლო» 102. კავკასიის კონფედ. პაქტი 103. აჯანყების 10 წლის თავი 104. მგელი ცხვრის ტყავში 105. პუანკარე და ბარტუ. ჩვენი მტერი 106. თოფჩიბაშის ხსოვნას 107. ერთი კამპანიის გამო 108.

II. წერილები:

- ანჩინ. გამარჯობა 101.
- ანძიქ ბ. რუს იმპერიალ. შიში 97. იმპერიალიზმის ტყვეები 98. ციფრომანია 99. რეგენული გამოგონება 100. თავისუფლების მაისი 101.
- ასათიანი ალ. ეროვნული ბრძოლის გზის და ტაქტიკის გაფართოვ. 97.
- ბ. ა. პაქტების ძებნაში 99.
- ბევი. აჯანყების დღეები ტფილისში 104.
- გუშაგი. მირ იაკუბის Le probl. du Cauc. 98.
- ღარბაისკელი. დემოკრატია თუ დიქტატურა 101-02. საბჭოების მწერ. ყრილობის გამო 108.
- თედა. ჭიათურის რაიონში 104.
- ინგილო რ. უკვდავი მცნება 101. მ. ჯანაშვილი 105.
- კ. კ. კარგი საქმე 105.
- კავაბაძე კ. კომუნისტ. საქართველოში 101, 107, 108.
- Karas. ბ. ჩხიკვიშვილი 107.
- კეჭყემაძე ი. ფიქრები ხმამაღლა 104.
- კლმანდო. დიდი აგვისტო 104. კიროვის მკვლელობა 108.
- ლ—მე ვმ. დამორჩილებ. ერების მეგობარი 107.
- მარტენი ე. საბჭოები ნაციონალიზმში 97. მგლები საცხვარეში 100.
- ქორდანია ნ. შუაგულ ევროპაში 100. კავკასიის კონფედერაცია 103.
- უ. მ. ჩვენი ეკონ. პერსპექტივები და კონფედერაციის პაქტი 108.
- ხალაყაია ი. გარდაუვალი ფატალიზმის მოლოდინში 97. წყნარ ოკეანეს პრობლემა 107-8.
- ხან. მენ. კავკასია და მეზობლები 99. რუსულ «ზაკფედ.» 12 წლის თავი 101.
- რახულ-ზადე. ისტორიული აქტი 103.
- ფირცხალავა ს. ბოლშევიკური გამომცემლობა 98. კულტურული საქმიანობის გამო 102. სომხები და ქართველები 105.
- შავიშვილი ს. პრფ. ნიპოლდი 103.
- ჩელიკ იბრ. 16 წლის შემდეგ 103.
- ცაგურია იბ. 1924 წელი 104.
- წულუკიძე მ. თამაზიანა. 106.

- III. საქართველოს საკითხის გარშემო: საქართველოს საკითხი ერთა ლიგის დამხმარე კავშირში 98. ერთა ლიგის დამხმარე კონგრესზე 102. ერთა ლიგის დამ. საზ. 102. საქართველოს საკითხი ჩეხოსლოვაკიის სენატში 103. ზავის ბიურო საქარ. სასარგებლოთ 103. ხ. შავიშვილის მიმართვა ერთა ლიგას 105. მშვიდობიანობის კონგრესის მიმართვა 105. ადრესი ლიგას 105-6. უცხოეთის პრესა 105-06. ჯერ გამარჯვება, მერე ზავი 107.
- IV. კავკასია: სომხეთის დამოუკიდებლობის დღე 102. კავკ. კონფედ. პაქტი 103. კავკასიის დამოუკ. კომიტეტის მოწოდება 103. კავკასია და სომხები 103. ნაციონალიზმი 106. ცნობა რომიდან 106. წერილი ვარშავიდან 106. სომხური პრესა 107-8. გერმან. პრესიდან 108.
- V. კორესპონდენციები: წერილები ამერიკიდან, ნაურისა 97-104, 106-8. რახდება საქართველოში 100. წერ. საქართველოდან 101. საბჭოთა წიგნის გამოფენა 103. სომოლად 103, 108. ხარბინიდან 105. ტფილისის სახალხო მეურნეობა 107.
- VI. ქართველები უცხოეთში: ვარშავაში 97. გერმანიაში 100. 26 მაისი პარიზში 102. პრალაში 102. პოლონ. ქართველების ცხოვრება 102. გრ. დიასპიის მიმართვა 106.
- VII. საქართველოს ამბები: 98.
- VIII. უცხოეთის მიმოხილვა: 98, 99, 100, 101. თურქეთის ცხოვ. 97, 98, 100, 102. თურქესტანი 97. სპარსეთი 98.
- IX. ნეკროლოგები: შვეალეს დაკრძალვა 97. ვ. სოსელია 97. დ. ჩხეიძე 97. ქართველი დედის ბედი 99. მ. ბილანიშვილი 99. გრ. კობახიძე 99. ჟ. ულენტი 99. ი. კასტავა 99. პ. ადამი 100. ს. გუაძე 100. შ. შარაშიძე 101. ვ. კაკაბაძე 102. ი. ჯაფარიძე 103. პერაცკის ხსოვნას 103. შ. მარტენი 104. თოფჩიბაშის დასაფლავება 107. გრ. რცხილაძე 108.
- X. ბიბლიოგრაფია: პოლონური ჟურნალი ვეფ. ტყალასანზე 97. Iberica 98. განცხადება 98. ქართული სიმღერა 107.
- XI. სხვა და სხვა: უკრაინელების ცხოვრებიდან 97. უკრაინელთა შორის 97, 99, 100, 102. პრესა 97. ბოლშევიკ. ფულის ნამდვილი ფასი 98. პატარა შენიშენა 98. სამხიმარი 98. წერ. რედაქციის მიმართ 98, 99, 100, 103, 106. ქართული კონცერტები ნანსში 99. მეგობრობის კომიტეტში 103. ქართ. ინჟინ. ასოციაცია 101. პოლონელი ჟურნალისტი საქართველოზე 106. ქართული გუნდი მონტელიარში 108.